

საკრედიტო კავშირი პარტნიორების ძიებაში

A2



ხელისუფლება და ინტელექტუალები

A5



ეს 50-იანი წლებია

A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 30 სექტემბერი, 2005 წელი. №217 (1077)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ბარეუბნიდან ცენტრისკენ

ახალი სამარშრუტო სქემის ამოქმედების შემდეგ, ცოტა ხანში, სამარშრუტო ტაქსებისთვის რუსთაველის გამზირის პარალელური ქუჩებიც ჩაიკეტა. ერთ დროს მყუდრო ქუჩების მცხოვრებნი დილიდან სალამომდე გარეთ დგანან, "მარშრუტკებს" უდარაჯებენ და მძღოლებს მუქარით აბრუნებენ უკან, რაც მძღოლებს ბენზინის ორმაგ ხარჯვად უჯდებათ, ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში მიმავალ მგზავრებს კი - ნერვების დაწყვეტის ფასად.

A2

## ამბები

### მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები სამართალდამცველ უწყებებში

არსებული ინფორმაცია სამართალდამცველ უწყებებში მორიგი სახელისუფლებო "კარუსელის" დატრიალების შესახებ, როგორც ჩანს, მართლდება. ყოველ შემთხვევაში, რეალური გამოდგა ორი კვირის წინათ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე გიორგი ჯანაშია თანამდებობიდან გადადგებოდა.

A2

## ამბები

### თბილისი შსკ-ს ფორმატზე უარს აცხადებს

თბილისი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციასა და შერეული საკონტროლო კომისიის დღემდე არსებულ ფორმატში მონაწილეობას აღარ აპირებს.

A3

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 30/09 | 1 /10 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 23 |
| ტყიბული | 20 | 23 |
| სოხუმი | 21 | 24 |
| დმანისი | 16 | 20 |
| გორი | 17 | 21 |
| ონი | 15 | 18 |
| ზუგდიდი | 22 | 27 |
| ახმეტა | 21 | 23 |
| გაგრა | 20 | 21 |
| სამტრედია | 22 | 26 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.1931 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2472 |
| რუბლი | 0.0632 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| პროექტი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| TV პროგრამა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# საქართველოს პარლამენტი რუსეთის სამშვიდობო ძალებს ყვითელ ბარათს უჩვენებს

გიორგი ასანიშვილი

*ოქტომბრის პირველივე სასესიო კვირაში პარლამენტში კენჭი ეყრება დადგენილების პროექტს, რომელშიც აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში განლაგებული სამშვიდობო ძალების საქმიანობა "მკვეთრად უარყოფითად" არის შეფასებული. უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში პროგრესის არარსებობის შემთხვევაში, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო 2006 წლის 15 თებერვლიდან ცხინვალის რეგიონში (15 ივლისიდან კი - აფხაზეთში) მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტას და რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას მოითხოვს.*

ქართველი კანონმდებლები ცდილობენ, კონფლიქტის ზონებში შექმნილ მდგომარეობას თავისი სახელი დაარქვან და ოფიციალურ მოსკოვს საკმოდ მკაცრი ტონით მიმართავენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



*საქართველოს პარლამენტმა დადგენილებას სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა.*

# რა იქნება შემდეგ?

## კონფლიქტის ზონების მომავალი რუსი სამშვიდობოების გარეშე

*რუსული სამხედრო ბაზებისგან თითქმის გათავისუფლებული საქართველო, ქართულ-რუსული ურთიერთობების კიდევ ერთ აქილევსის ქუსლს ეხება და რუსეთის სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის შესახებ ამჯერად უკვე დადგენილების ენით საუბრობს. საქართველოს პარლამენტი გარკვეულ დროს მისცემს რუსეთის ხელისუფლებას, გადახედოს საკუთარი სამშვიდობო ძალების ქმედებას კონფლიქტის ზონებში და გაარკვიოს, კონფლიქტის მონაწილეა თუ მედიატორი. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმასრულებელ ხელისუფლებას სამშვიდობო ძალების საქართველოდან გასაყვანად ქმედითი ნაბიჯებისკენ მოუწოდებს. რა შესაძლო ეფექტი მოჰყვება საქართველოს პარლამენტის აღნიშნულ ინიციატივას? "24 საათი" ამ კითხვით ექსპერტებს - პაატა ზაქარეიშვილსა და არჩილ გეგეშიძეს მიმართავს.*

სოფო ბუკია

კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთის საპასუხო რეაქცია ტრადიციული იქნება და იგი "ჩვენ, სამწუხაროდ, ზედაც არ შემოგვხედავს."

**"რუსები იტყვიან, რომ ქართველებს ომი უნდათ და რაღაც მაგალითებს მოიყვანენ. სამწუხაროდ, რამდენიმე დღის წინ ოქრუაშვილის არაადეკვატური ქცევა რომ არ მომხდარიყო და ცხინვალის საეჭვო დაბომბვას არ ჰქონოდა ადგილი, მაშინ ჩვენ უფრო თამამნი ვიქნებოდით. სამწუხაროდ, ოქრუაშვილის საქციელმა ეჭვქვეშ დააყენა ქართველების სამშვიდობო ზრახვები... მართლა არ ვიცი, ვის ემსახურება ეს კაცი... ეს ინციდენტი რომ არ ყოფილიყო, შეგვეძლო, უფრო თამამად შეგვეტია რუსეთისათვის,"** - აცხადებს ზაქარეიშვილი.

თუმცა, ამავე დროს მას მიაჩნია, რომ პარლამენტის გუშინდელი წამოწყება **"ნებისმიერ შემთხვევაში სწორი და საჭირო გადაწყვეტილებაა."**

მისი თქმით, აღნიშნულ დადგენილებას შესაძლოა, სულაც არ მოჰყვეს ის ეფექტი, რასაც ბევრი მისგან მოელის, მაგრამ ამით საქართველო მკაფიოდ გამოხატავს თავის უკმაყოფილებას რუსეთის სამშვიდობო ძალების მიმართ. ზაქარეიშვილის აზრით, პარლამენტის ამ დადგენილებით, რომელსაც მთელი საერთაშორისო საზოგადოება გაეცნობა, საქართველოს შეუძლია, კიდევ ერთხელ შელახოს რუსეთის, როგორც მშვიდობისმყოფელი ქვეყნის იმიჯი.

**"პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას სავსებით მივესალმები. ცხადია, პირდაპირ სამშვიდობოების გაყვანა შეიძლება არ მოხდეს. არ არის გამორიცხული, დასავლეთმა ჩვენზე ზემოქმედება მოახდინოს და იგივე ეუთო-მ, აშშ-მ და ევროკავშირმაც კი თხოვნით მოგვმართონ, რომ თავი შევიკავოთ და დაძაბულობა ავირიდოთ. ჯერ ამ დადგენილების პროექტის ტექსტს არ ვიცნობ, მაგრამ კარგი იქნება, თუ იქ მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ საქართველო თავის თავზე იღებს უსაფრთხოების გარანტიებს, რადგან რუსეთი აქ სხვა ქვეყანას არ შემოუშვებს,"** - აღნიშნავს ზაქარეიშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# წინასაარჩევნო პერიოდი - ბოლო აკორდები

თამარ მჭედლიშვილი

*არჩევნებამდე ორი დღით ადრე, ოპოზიცია უკვე საუბრობს მოვლენათა განვითარების ხელისუფლებისეულ სცენარზე, რომლის თანახმადაც, არჩევნები ასი პროცენტით გაყალბდება. პრეზიდენტი კი აცხადებს, რომ იგი გაყალბებას არ დაუშვებს და თუკი ვინმე არჩევნების შედეგების ფალსიფიცირებაში იქნება შემჩნეული, იგი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება.*

თავისი არსით და მნიშვნელობით, შუალედური არჩევნები ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ნამდვილად არ არის (ხმის მიცემა მხოლოდ ხუთ საარჩევნო ოლქში ტარდება).

გაგრძელება A2 გვერდზე



*ოპოზიცია ბოლო დარტყმების განხორციელებას ცდილობს.*

# "სამშვიდობოთა ფორმატის შეცვლა შეუძლებელია"

*საქართველოს პარლამენტის გუშინდელ ინიციატივას, რუსი სამშვიდობოების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის თაობაზე, რუსი პოლიტოლოგები ასე პასუხობენ: "მიეცით ავტონომია ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისათვის კი ასიმეტრიული ფედერალიზმის მოდელები შეიმუშავეთ."*

დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვლადიმირ ჟარიხინი აცხადებს, რომ სამშვიდობოთა მოღვაწეობის ფორმატის შეცვლა შეუძლებელია. მისი თქმით, კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ხშირად არასწორად ესმით, თუ რაში მდგომარეობს სამშვიდობოთა მისია. ჟარიხინი განმარტავს, რომ **"სამშვიდობო კონტინგენტის ფუნქციაა, დააშოშმინოს კონფლიქტში მონაწილე მხარეები, მათ ერთმანეთთან ბრძოლის უფლება არ მისცეს, რათა პოლიტიკოსებს მშვიდობიან მოლაპარაკებათა გამართვის საშუალება ჰქონდეთ. ამ ყველაფერს ჩვენი სამშვიდობოები ზედმიწევნით ასრულებენ, ქართველებს კი უნდათ, სამშვიდობოები მათ მხარეს იყვნენ,"** - აცხადებს ჟარიხინი. იგი ქართულ მხარეს შეახსენებს, რომ სამშვიდობოები რუსები კი არ არიან, არამედ დსთ-ს ძალებად ითვლებიან და მანდატი მათ სწორედ დსთ-მ ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში მისცა.

პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების დირექტორი სერგეი მარკედონოვი მიიჩნევს: პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის სრულმასშტაბიანი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება არ არსებობს.

**"ამგვარი შეთანხმება, პირველ რიგში, რუსეთს არ აძლევს ხელს. რუსეთის უბედურება ის არის, რომ მან არ ჩამოაყალიბა მოთხოვნათა ის ჩამონათვალი, რომელთა თანახმადაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას მოახდენდა. ვფიქრობ, რუსული დიპლომატია ვალდებული არ არის, უპირობოდ აღიაროს ეს ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ შეგვიძლია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა გარკვეული პირობებით ვაღიაროთ. ეს პირობაა ფედერალიზაცია - ავტონომიის მინიჭება ჯავახეთში მცხოვრები სომხებისათვის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისათვის ასიმეტრიული ფედერალიზმის მოდელები,"** - აცხადებს მარკედონოვი.

**24 საათი**

# ნებისყოფათა ჭიდილი ერევანში

მიხეილ ლანჩავა

ზურაბ ნოღაიდელის მორიგი ვიზიტი ერევანში (ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ჩვენი მეზობლები საქართველოს პრემიერს სულ რამდენიმე თვის განმავლობაში უკვე მეორედ იწვევენ სომხეთში) საკმაოდ მძიმე ფონზე მიმდინარეობდა იმ აშკარად პროვოკაციული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რაც ჯავახეთში მოქმედმა სეპარატისტულმა ორგანიზაციებმა მიიღეს.

როგორც ცნობილია, მათ ახლახანს მოითხოვეს სამცხე-ჯავახეთის ავტონომიის(როგორც საქართველოს ფედერაციის სუბიექტის) დაფუძნება და მისი ხელმღვანელის არჩევა "სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მიერ პირდაპირი კენჭისყროთ".

საინტერესოა, რომ ამ დროს თვით სომხეთში (მონოეთნიკურ სომხეთში!) "მაზრების" ხელმძღვანელები კვლავინდებურად პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან და მოსახლეობას მათი არჩევის საშუალება არა აქვს.

მოითხოვენ აგრეთვე "სამცხე-ჯავახეთის ავტონომიური რესპუბლიკის" სახელმწიფო ენად სომხურისა და ქართულის გამოცხადებას.

ამგვარი გააქტიურების მიზეზი ადვილად გასაგებია: მავანთ არც თუ ძალიან ეპიტნავებათ და აშინებთ, რომ მრავალი წლის შემდეგ, როდესაც საქართველოს სუვერენიტეტი ამ რეგიონში ფორმალურად თუ ვრცელდებოდა, ამჟამად საქართველოს სახელმწიფო

გაგრძელება A3 გვერდზე

# დეპოზიტები და მათი დაზღვევა

## საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს დეპოზიტების დაზღვევის შესახებ კანონპროექტი საზოგადოების სამსჯავროზე გამოაქვს

*საქართველოს საბანკო სისტემისადმი ნდობა საქართველოში აშკარად იზრდება. თუმცა, საბჭოთა ანაბრებისა და გაქცეულ-გაკოტრებული საფინანსო სტრუქტურების მძიმე გამოცდილება საქართველოს მოქალაქეთა მეხსიერებას მაინც შემორჩა, რის გამოც, ქართულ საბანკო სექტორს ხალხში არსებული საფინანსო რეზერვები სრულად ათვისებული არ აქვს. ჯერ კიდევ არსებობს ხალხი, ვინც შესაძლოა მცირე, მაგრამ მაინც - დანაზოგს, მუთაქაში, თეთრეულში თუ მაცივარში ინახავს. ამიტომ, დეპოზიტების დაზღვევის შესახებ ინიციატივა, რომელიც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში უკვე მზად არის და რომლის შესახებ ეროვნულ ბანკშიც, KKFW-სთან ერთად, ასევე მიდის მუშაობა, დღეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. ამიტომ "24 საათი" შეეცადა, საკითხის ინიციატორთან, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძესთან გაერკვია, თუ რა გარანტიებს შექმნის დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რატომ შეიძლება ის საინტერესო იყოს არა მხოლოდ მეანაბრისთვის, არამედ - ბანკისთვისაც და, საერთოდ, რატომ გახდა აქტუალური ეს საკითხი მაინცდამაინც დღეს, ქვეყნის დამოუკიდებლობის თხუთმეტი წლისთავზე?*

თამარ ივანიძე

- პირველ რიგში, იმიტომ, რომ საშუალო და მცირე მეანაბრეების რაოდენობა იზრდება. 2004 წლის სტატისტიკას თუ ავიღებთ, სურათი ასეთია: მეანაბრეების მთლიან რაოდენობაში უდიდესი ნაწილი სწორედ მცირე მეანაბრეებზე მოდის. მაგალითად, 2002 წელს 5.000 ლარამდე მოცულობის ანაბრების ხვედრითი წილი მთლიან ანაბრებში მხოლოდ 3,2 პროცენტი იყო. მაშინ, როცა მათი მფლობელები მეანაბრეთა მთლიანი რაოდენობის 46 პროცენტს შეადგენდნენ. დავაკვირდეთ, როგორ იცვლებოდა ეს მაჩვენებლები წლების მიხედვით: 2003 წელს მცირე მეანაბრეების წილმა ანაბრების სრულ თანხაში 5,9 პროცენტი შეადგინა და 66 პროცენტი - მეანაბრეთა რაოდენობაში, 2004 წელს, შესაბამისი მაჩვენებლები 5,7 პროცენტი და 68 პროცენტი იყო, 2005 წლის 6 თვის მაჩვენებლებით - 64 პროცენტი და 77 პროცენტი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "გაზექსპორტთან" გასაფორმებელ ხელშეკრულებას ორმხრივი სამუშაო ჯგუფი მოამზადებს

"გაზპრომთან" ურთიერთობაში შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად საგანგებო სამუშაო ჯგუფის შექმნა გახდა საჭირო. ორივე მხარე - ქართული ოფიციოზიც და "გაზპრომის" შვილობილი "გაზექსპორტის" წარმომადგენლებიც ამ ჯგუფის შემადგენლობაში ექსპერტული რესურსების მობილიზების აუცილებლობაზე საუბრობდა, თუმცა ის ქართული მხრიდან, ჯერჯერობით, მხოლოდ სახელმწიფო მოხელეებით დაკომპლექტდა. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ჯგუფის შემადგენლობაში გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორი ქოიავა, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ალეკო ხეთაგური და "თბილგაზის" გენერალური დირექტორი გიორგი გვიჩიანი შევიდნენ. ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა გუშინ იყო დაგეგმილი, თუმცა ის არ გაიმართა. ჯერჯერობით, პირველი რეალური შეხვედრის თარიღი ცნობილი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ, უკვე ცნობილია საკითხები, რაზეც ჯგუფმა უნდა იმუშაოს.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის ხედვით, ამ ჯგუფმა სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების მომზადებაზე, სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტის ტარიფის დადგენასა და "გაზექსპორტის" მიმართ არსებული დავალიანებების დაფარვის მექანიზმებზე უნდა იმუშაოს. ამის თაობაზე მინისტრმა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს ოთხშაბათს მოახსენა.

ასევე, ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, გილაურის განმარტებით, საქართველოს გაზმომარაგების საკითხების მოგვარებაა. როგორც ცნობილია, ბუნებრივი აირის ახალი ტარიფი, რომლის მიხედვითაც, საქართველომ "გაზექსპორტს" 2006 წლის 1 იანვრიდან მოწოდებული გაზის საფასური უნდა გადაუხადოს, ჯერჯერობით, გარკვეული არ არის. მინისტრის თქმით, ეს სხვადასხვა ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული, კერძოდ კი - სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტის ტარიფსა და საქართველოსთვის ყაზახური გაზის ტრანსპორტირების შესაძლებლობებზე.

"გაზექსპორტის" წარმომადგენელთა ხედვით, ახლადშექმნილი სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგში აქცენტები "გაზექსპორტთან" გასაფორმებელ გრძელვადიან ხელშეკრულებაზე უნდა გაკეთდეს და ყურადღება იმაზე გამახვილდეს, რომ რუსულ ენერგოგიგანტთან, მინიმუმ, ათწლიანი კონტრაქტი გაფორმდეს, სადაც ბუნებრივი აირის ტარიფის დაანგარიშების ფორმულაც გათვალისწინებული იქნება.

*24 საათი*

# მოსკოვის მიმართულებით ბილეთების გაძვირება მოსალოდნელი არ არის

გუშინ ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" ოფისში საქართველოს ავიაბაზარზე მოქმედი კომპანიების "სიბირის", "აეროფლოტის" "ჯორჯიან ეარვეისისა" და "ნაციონალური ავიახაზების" წარმომადგენლებმა საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს. როგორც "ნაციონალური ავიახაზების" გენერალურმა დირექტორმა ჟურნალისტებს აცნობა, შეხვედრის მიზანი მოსკოვის მიმართულებაზე ბილეთის ფასის მომატების თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებების შემუშავება იყო.

ამ საკითხზე მსჯელობის აუცილებლობა კი დღის წესრიგში მსოფლიო ბაზარზე საავიაციო საწვავის გაძვირების გამო დადგა. კოდუას განმარტებით, ევროპის ბაზარზე ერთი ტონა ავიანავთი 500-დან 800 აშშ დოლარამდე გაძვირდა, მაგრამ ქართული ავიაკომპანიები მოსკოვის მიმართულებით ავიაბილეთების ფასის მნიშვნელოვან ზრდას მაინც არ დაუშვებენ. "კომპანიების წარმომადგენლები ყველა რესურსს გამოიყენებენ, რომ მოსკოვის რეისზე ბილეთის ფასი 20 აშშ დოლარზე მეტით არ გაიზარდოს," - განაცხადა მან.

მოსკოვის მიმართულებით მგზავრობის ღირებულება ამჟამად, საშუალოდ, 150 აშშ დოლარია. კოდუას თქმით, ბაქო-მოსკოვი და ერევანი-მოსკოვის რეისს მეზობელი ქვეყნების ავაიკომპანიები 200 აშშ დოლარად ასრულებენ, თუმცა საჰაერო მანძილი თბილისი-მოსკოვის მონაკვეთის თითქმის ანალოგიურია.

ამიტომ, როგორც ავიაკომპანიების წარმომადგენელთა დღევანდელ სამუშაო შეხვედრაზე გადაწყდა, მოსკოვის მიმართულებით მგზავრობის ღირებულება თითქმის უცვლელი დარჩება - "ეკონომ-კლასის" ბილეთის ფასი ერთი მიმართულებით - 170 დოლარი, ხოლო ორივე მიმართულებით 265 დოლარი იქნება.

იქვე, ავიაკომპანიების წარმომადგენლები ფრენის განრიგებსა და სიხშირეებზეც შეთანხმდნენ. გადაწყდა, რომ "ჯორჯიან ეარვეისი" თბილისი-მოსკოვის მიმართულებით კვირაში 7 რეისს შეასრულებს, "აეროფლოტი" - 6 რეისს და "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" - სამ რეისს. გარდა ამისა, "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" კვირაში ორჯერ ქუთაისი-მოსკოვის მიმართულებითაც იფრენს. რაც შეეხება ავიაკომპანია "სიბირს", ის მოსკოვის მიმართულებით კვირაში ოთხ რეისს თბილისიდან შეასრულებს, ერთს კი - ქუთაისიდან.

კოდუას განცხადებით, ავიაკომპანიებს შორის საჰაერო რეისების შესრულებაზე პარიტეტი დაცულია. მისი თქმით, შეთანხმებულ ტარიფებსა და განრიგებს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას ხვალ წარუდგენენ. ანალოგიურ შეხვედრას ავიაკომპანიების წარმომადგენლები უახლოეს დღეებში კიევის რეისთან დაკავშირებითაც გეგმავენ.

*24 საათი*

# "ხელისუფლება "ბი-პი"-ს მილიონდოლარიან დახმარებაზე უარს ამბობს"

"საქართველოს ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის დაცვაზე უარს ამბობს," - აცხადებენ ახალგაზრდთა იურისტთა ასოციაციის წევრები. ლაპარაკია ბორჯომის რაიონის სოფელ დგვარის მოსახლეობაზე, რომელთა ცხოვრებაც მეწყრული პროცესების გააქტიურებამ გაუსაძლისი გახადა. ისედაც მეწყერსაშიშ ზონაში მდებარე სოფელში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობამ მეწყრული პროცესები კიდევ უფრო გააააქტიურა.

ეს სოფელი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი ერზრუმის მილსადენების მარშრუტიდან ერთი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მოსახლეობის უსაფრთხო ტერიტორიაზე გადასასახლებლად პრეზიდენტის ფონდიდან შარშან 798 ათასი ლარი გამოიყო. ამას უნდა დამატებოდა კომპანია "ბი-პი"-ს მიერ გამოყოფილი თანხა 1 მლნ. დოლარის ოდენობით, თუმცა, როგორც არასამთავრობოები აცხადებენ, საქართველოს ხელისუფლება "ბი-პი"-ს ამ დახმარებაზე უარს აცხადებს.

"პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ხელისუფლებამ ხალხს უსაფრთხო ტერიტორიაზე გადასახლებისათვის სათანადო თანხა გამოუყო და მათთვის 1 მლნ. დოლარის გადაცემა საჭირო აღარ არის. პრემიერი "ბი-პი"-ს სთავაზობს, ეს თანხა საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამას მოხმარდეს, რომელსაც "ბი-პი" მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლების მცხოვრებთათვის ახორციელებს," - განაცხადა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელების მონიტორინგის პროგრამის კოორდინატორმა ქეთი კვინიკაძემ.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები ხელისუფლებას მოუწოდებენ, სოფელ დგვარის პრობლემები ადეკვატურად შეაფასოს და "ბი-პი"-ს მიერ დახმარების სახით შეთავაზებული 1 მლნ. დოლარის მიღებას დათანხმდეს.

**მედიანიუსი**

# საქართველოს ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი ეწვევა

ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით 1 ოქტომბერს ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან.

სავარაუდოდ, შაბათს საქართველოსა და ყაზახეთის პრეზიდენტები ბათუმს ეწვევიან, სადაც ჩაქვი-მახინჯაურის დამაკავშირებელ გვირაბს დაათვალიერებენ.

**ინტერპრესნიუსი**

# წინასაარჩევნო პერიოდი - ბოლო აკორდები

პირველი გვერდიდან

შესაბამისად, ნეიტრალური ამომრჩევლის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ჯერაც არ იცის, მივა თუ არა პირველ ოქტომბერს საარჩევნო უბნეზე. ამის მიუხედავად, პოლიტიკურ სპექტრში საარჩევნო ციებ-ცხელების ყველა სინდრომი სახეზეა.

თავისთავად, ნებისმიერი არჩევნების წინ ოპოზიცია ხელისუფლებას ათას მიუტევებელ ცოდვაში ადანაშაულებს. პოლიტიკური განცხადებების და ხელისუფლების მისამართით გამოთქმული ბრალდებების კასკადი, როგორც წესი, წინასაარჩევნო კამპანიის დამაგვირგვინებელი აკორდებია. შესაბამისად, იგი ეფექტური და კარგად გათვლილი უნდა იყოს. მოკლედ, არჩევნებიდან არჩევნებამდე გაყალბების ბრალდებასთან დაკავშირებული ისტორია იშვიათი სიზუსტით მეორდება.

ასევე, ტრადიციულია ხელისუფლების ქმედებებიც - არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში პომპეზური ღონისძიებების კორიანტელი, საბიუჯეტო სახსრების წინასაარჩევნო კამპანიისაკენ მიმართვის მცდელობები და ოპოზიციის დადანაშაულება არასახელმწიფოებრივ ქმედებებში.

სურათი უცვლელია - გუშინ "მემარჯვენეებმა", "კონსერვატორებმა" და "ლეიბორისტებმა" არჩევნებს ერთობლივი საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნეს. ხელისუფლების ზოგადი კრიტიკის პარალელურად, ბრიფინგზე კონკრეტული ბრალდებებიც გაისმა - ტყიბულში ხელისუფლების კანდიდატის პალიკო კუბლაშვილის მიერ ამომრჩევლების მოსყიდვა, ქობულეთში "ნაციონალ" კობა ხაბაზის მიერ საბიუჯეტო სახსრების საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიისათვის გამოყენება და, რაც ყველაზე საინტერესოა, ისანში ბიძინა ბრეგაძის მომხრეების მიერ ამომრჩეველთა "გარკვეული ფენებისათვის" სუბოტექსის დარიგება.

ცალკე საუბრის თემაა საარჩევნო სიები. როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, საარჩევნო ადმინისტრაციებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ხარვეზები გამოსწორებულიყო და ცესკო მაქსიმალურად ცდილობს ოპოზიციური პარტიების ყველა პრეტენზიის გადამოწმებას, შენიშვნების სამართლიანობის დადასტურების შემთხვევაში კი - მათ გამოსწორებას.

**"ცესკო-ს პოზიცია ურყევია, არჩევნების გამყალბებელი პასუხს აგებს,"** - ეს უკვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გია ქავთარაძის სიტყვებია, რომელიც არჩევნების დღეს ცესკო-ში იმუშავებს და ცხელი ხაზის მუშაობას კოორდინაციას გაუწევს. როგორც კომისიაში აცხადებენ, ცხელი ხაზის მეშვეობით ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება, მიიღოს კონსულტაცია და საარჩევნო უბნებში დარღვევების შესახებ ინფორმაცია ცესკო-ს მიაწოდოს, მას კი ცესკო-ს იურისტები შეამოწმებენ. რაც შეეხება კომისიის წევრებს, კენჭისყრის დღეს ისინი საარჩევნო ოლქებში გაემგზავრებიან.

**"არჩევნების დღეს ამომრჩევლის სიაში შეყვანა დაუშვებელია. ამომრჩეველი, რომელიც სიაში არ იქნება, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. სიებზე მუშაობა დასრულდა. ყველა, ვინც თავისი თავი გადაამოწმა, შეტანილია სიების დაზუსტებულ ვერსიაში. ამომრჩევლებს ბინაზე ურიგდებათ საარჩევნო ბარათები. ბარათზე მითითებულია ამომრჩევლის სახელი და გვარი, მისი რიგითი ნომერი სიაში, საარჩევნო ოლქის ნომერი და იმ საარჩევნო უბნის მისამართი, სადაც ამომრჩეველმა უნდა მისცეს ხმა. რაიმე უზუსტობის შემთხვევაში, ამომრჩეველმა უნდა მიაკითხოს იმ საარჩევნო უბანს, სადაც ის არის რეგისტრირებული,"** - განაცხადა გუშინ გია ქავთარაძემ.

# გარეუბნიდან ცენტრისკენ

*ახალი სამარშრუტო სქემის ამოქმედების შემდეგ, ცოტა ხანში, სამარშრუტო ტაქსებისთვის რუსთაველის გამზირის პარალელური ქუჩებიც ჩაიკეტა. ერთ დროს მყუდრო ქუჩების მცხოვრებნი დილიდან საღამომდე გარეთ დგანან, "მარშრუტკებს" უდარაჯებენ და მძღოლებს მუქარით აბრუნებენ უკან, რაც მძღოლებს ბენზინის ორმაგ ხარჯვად უჯდებათ, ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში მიმავალ მგზავრებს კი - ნერვების დაწყვეტის ფასად. როგორც ქალაქის ტრანსპორტის სამსახური აცხადებს, ამ ყველაფერში დამნაშავეები ისევ მძღოლები არიან.*

ნანა ქადაგიშვილი

გარეუბნიდან ცენტრისკენ მიმავალი მგზავრის მდგომარეობა უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, №140 "მარშრუტკის" მარშრუტი გავიხსენოთ. მოსკოვის გამზირიდან ვაჟა-ფშაველაზე მიმავალი სამარშრუტო ტაქსი სამგორის, ისნის მეტროებისა და ორთაჭალის გავლით ადის ლესელიძის ქუჩაზე, პუშკინის ქუჩიდან, ბარათაშვილის ხიდის გავლით კი, რუსთაველის გამზირის პარალელურ თაბუკაშვილის ქუჩაზე გადის, თუმცა, თუ იგი გადაკეტილი დახვდა, ისევ უკან ბრუნდება და სანაპიროთი მიდის საბურთალოზე. ასე რომ, ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ კარგავენ მგზავრები მოთმინებას და მძღოლების არანაკლებ სუსტ ნერვებს უარესად აღიზიანებენ.

მოსკოვის გამზირიდან ცენტრში მოსახვედრად ალტერნატიული საშუალებებიც არსებობს - №2 ავტობუსი, რომელსაც საათობით უნდა ელოდო და რომელიც მუდმივად გადაჭედილია; ან მეტრო, ოღონდ ამ შემთხვევაში სამი ტრანსპორტი (მეტრომდე, მეტრო და მეტროს შემდეგ) უნდა გამოიცვალო, რაც "მარშრუტკით" მგზავრობაზე ძვირი ჯდება. მოკლედ, ქართული ზღაპრების არ იყოს, რა გზითაც არ უნდა წახვიდე, ინანებ.

ასე რომ, ახალი სამარშრუტო სქემის ამოქმედების შემდეგ რუსთაველის გამზირმა კი ამოისუნთქა, მაგრამ იგივეს მის პარალელურ ქუჩებსა და მოსახლეობაზე ვერ ვიტყვით. **"ხომ გაგაფრთხილეთ, რომ ამ ქუჩაზე მეორედ არ გამოიაროთ, ადამიანები ძლივს ვუქცევთ გვერდს ერთმანეთს და "მარშრუტკების" აქ ტარება შეიძლება? ისედაც მოფახფახებულ შენობებს კიდევ ეს უნდოდა?"** - ჩხუბობს მოსახლეობა. თუმცა, სამარშრუტო ტაქსების მძღოლები მათ ყოველთვის არ ეპუებიან. **"რუსთაველის გამზირის გადაკეტვის შემდეგ მგზავრები ისედაც მოგვაკლდა და სანაპიროთი რომ ვიაროთ, რა შემოსავალი გვექნება. ამ ქუჩებზე უფრო შეიძლება მგზავრის აყვანა,"** - თავს იმართლებენ მძღოლები.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში აცხადებენ, რომ რუსთაველის პარალელური ქუჩების გადატვირთვის მიზეზი სწორედ მძღოლების დაუმორჩილებლობაა. **"სამარშრუტო სქემის მიხედვით, რუსთაველის გამზირის სანაცვლოდ, თაბუკაშვილის ქუჩაზე სამარშრუტო ტაქსების მხოლოდ 5 მარშრუტი გადის, დანარჩენი მარშრუტები კი - სანაპიროს გავლით. თუმცა, ყველა მძღოლი ცდილობს, რუსთაველის პარალელურად იაროს, საპატრულო პოლიცია მათ დევნას ვეღარ აუდის,"** - განმარტავს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ზურაბ ჩიკვილაძე და გვაიმედებს, რომ ნელ-ნელა ყველაფერი მოგვარდება. თუმცა, ადამიანების ნერვებსა და უარესად მორყეულ ავარიულ სახლებს აღარაფერი ეშველება.

# საკრედიტო კავშირი პარტნიორების ძიებაშია

ნინო ბერელიძე



*საკრედიტო კავშირის პროგრამის კოორდინატორი დავით დობორჯგინიძე*

დიდი ხანი არ არის, რაც განათლების ერთიანმა საკრედიტო კავშირმა მუშაობა დაიწყო, დღეს კი ორგანიზაცია უკვე სამი ათასამდე სტუდენტსა და მასწავლებელს აერთიანებს. საკრედიტო კავშირის წევრობა ყველა მსურველს შეეძლება, რომელიც ორგანიზაციასთან ოფიციალურად ითანამშრომლებს. გარდა სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაკრედიტებისა, სხვა პროგრამებთან ერთად, კავშირის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი დასაქმების პროგრამაა.

**"დასაქმების პროგრამაში სტუდენტების მონაწილეობა უდიდესი პრაქტიკაა, რომელიც მათ პროფესიულ ინტერესებსა და სპეციალობებს შეესაბამება. მათი დასაქმება მოხდება როგორც დედაქალაქში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ჩვენი კავშირის წევრები რეგიონული წარმომადგენლობების მიხედვით, ცალკეულ კომერციულ პროექტებში დასაქმდებიან,"** - განაცხადა განათლების ერთიანი საკრედიტო კავშირის პროგრამის კოორდინატორმა დავით დობორჯგინიძემ.

მისი თქმით, კავშირის წევრების დასაქმების პროექტებში ჩართვა უკვე მიმდინარეობს. **"საკრედიტო კავშირის წევრებისათვის შეკრებები ყოველდღე იმართება. რაც მთავარია, განათლების ერთიან საკრედიტო კავშირს უკვე ჰყავს რამდენიმე ბიზნეს-პარტნიორი ორგანიზაცია, როგორიცაა კომპანია "მაგთიკომი", "პეპსიკოლა", "საქცემენტი", "ავიამშენი". მაგალითად, "საქცემენტმა" 500 ლარის ოდენობის თანხა ჩადო ჩვენს სასესხო ფონდში. თითოეული ჩვენი პარტნიორი ორგანიზაცია მათთვის სასურველ პრიორიტეტებს თვითონ აწესებს... მომავალში, იმედია, გაფართოვდება კავშირის საქმიანობა, რაც ცალკეულ ორგანიზაციათა ინტერესებს და ბიზნესპარტნიორთა რიცხვს გაზრდის,"** - აცხადებს დავით დობორჯგინიძე.

შესაძლებელია, უახლოეს მომავალში განათლების ერთიანი საკრედიტო კავშირის წევრთა რიცხვი 10 ათასამდე გაიზარდოს. ამისათვის სურვილი და პირველადი შენატანი - 55 ლარია საჭირო. ყოველთვიური საწევრო გადასახადი, სულ რაღაც, ორი ლარია. საკრედიტო კავშირში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი: 898 210000. სრული ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება 10 ოქტომბრიდან, ვებ-გვერდზე.

# საქართველო რაღაცაში მაინც პირველია

დიანა ჩაჩუა

საქართველო ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული რეფორმების მიხედვით პირველია, - ნათქვამია მსოფლიო ბანკის პუბლიკაციაში "ბიზნესის წარმოება 2006". **"საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დაარსებიდან ერთი წლის მანძილზე სისტემაში ძირეული რეფორმები განხორციელდა საკანონმდებლო, ინსტიტუციური, საზოგადოების ინფორმირების და დონორებთან თანამშრომლობის მიმართულებით,"** - აცხადებდა გუშინ სააგენტოს თავმჯდომარე დავით ეგიაშვილი. მისივე თქმით, მათ მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, შემოღებულ იქნა დაჩქარებული სარეგისტრაციო მომსახურება, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ ქონება ერთ დღეში დაარეგისტრიროს, შემცირდა რეგისტრაციის ვადები - რეგისტრაციის მაქსიმალური ვადა განისაზღვრა 10 დღით, ნასყიდობის ხელშეკრულების - 5 დღით, იპოთეკის კი - 3 დღით. **"საქართველომ ასევე შეამცირა გადასახადები, გააუქმა ქონების გადაცემის გადასახადი და 75 პროცენტით შეკვეცა რეგისტრაციის ღირებულება,"** - დასძინა საჯარო რეესტრის სამსახურის თავმჯდომარემ.

მსოფლიო ბანკის კვლევის შედეგად, 2004 წელს ქონების რეგისტრაცია თექვსმეტმა ქვეყანამ გააიოლა. ქვეყნების უმეტესობამ პროცესი უფრო იაფი გახადა, მესამედმა კი გაამარტივა და ვადები შეამცირა. საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ათმა ქვეყანამ, რომელთა შორის, საქართველოს გარდა, სლოვაკეთი, ვიეტნამი, მოზამბიკი, ჰოლანდია, პაკისტანი და სხვები არიან, პროცედურების რაოდენობა საშუალოდ 12 პროცენტით, ვადები - 16 პროცენტით, ხარჯები კი - 43 პროცენტით შეამცირა.

**"საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებული რეფორმა იძლევა რეალურ შესაძლებლობას იმისთვის, რომ სისტემამ გაცილებით ხარისხიანად, სწრაფად, ეფექტურად და, რაც მთავარია, "ერთი ფანჯრის პრინციპით" იმუშაოს,"** - განაცხადა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ დავით ეგიაშვილმა.

როგორც გუშინ ცნობილი გახდა, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მომზადებულია კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, აფხაზეთში არსებული ქონების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლობა ეძლევათ, ქონება დაირეგისტრირონ და საკუთრების სერთიფიკატი მიიღონ.

# მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები სამართალდამცველ უწყებებში

*არსებული ინფორმაცია სამართალდამცველ უწყებებში მორიგი სახელისუფლებო "კარუსელის" დატრიალების შესახებ, როგორც ჩანს, მართლდება. ყოველ შემთხვევაში, რეალური გამოდგა ორი კვირის წინათ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე გიორგი ჯანაშია თანამდებობიდან გადადგებოდა.*

გენერალურმა პროკურატურამ მაშინ კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია. თავად გიორგი ჯანაშიას არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. ინფორმაციის გავრცელებიდან ორი კვირის შემდეგ, გუშინწინ აღმოჩნდა, რომ გიორგი ჯანაშიამ, პირადი განცხადების საფუძველზე, თანამდებობა მართლაც დატოვა. გენერალური პროკურორის ყოფილ პირველ მოადგილეს და გენერალური პროკურატურის სხვა წარმომადგენლებს გიორგი ჯანაშიას გადადგომის მიზეზის შესახებ ახსნა-განმარტება, ასევე, არ მიციათ. უცნობია ისიც, შესთავაზებენ თუ არა ახალ პოსტს გიორგი ჯანაშიას. თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, გიორგი ჯანაშიას ჯერჯერობით ახალ თანამდებობაზე ვერ ვიხილავთ, რადგან იგი მართლაც საკუთარი სურვილით წავიდა პროკურატურიდან და, როგორც ამბობენ, იმის გამო, რომ მის დაქვემდებარებაში არსებული ერთ-ერთი საკვანძო საგამოძიებო სტრუქტურის ხელმძღვანელი გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს არ ემორჩილებოდა, რაც ჯანაშიას გადადგომის საფუძველი გახდა. ასე რომ, გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, ზურაბ ადეიშვილის ყოფილმა პირველმა მოადგილემ კოლეგებთან დაპირისპირებას თანამდებობიდან წასვლა არჩია.

ყოფილი კადრი პროკურატურაში ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა დააბრუნა. ირაკლი ოქრუაშვილმა ჯერ პროკურატურაში, ხოლო შემდეგ შს მინისტრობისას ამ უწყებების სტრატეგიულ თანამდებობებზე ის კვალიფიციური კადრები დანიშნა, რომელთა კრიტიკაც, ცოტა არ იყოს, გაჭირდებოდა. მათ შორის იყო ოქრუაშვილის გენპროკურორობის დროს მისი პირველი მოადგილე, შემდეგ შს მინისტრის პირველ მოადგილე, მანამდე თბილისის პროკურორის მოადგილე, თავის დროზე კი იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ჯანაშია, რომელიც კვალიფიციური იურისტისა და პატიოსანი პიროვნების იმიჯითაა ცნობილი.

მართალია, ოფიციალურად არავინ ადასტურებს, მაგრამ სამართალდამცველ უწყებებში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებ შემდეგი ინფორმაციებია გავრცელებული:

საქართველოს გენერალური პროკურორს ზურაბ ადეიშვილს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ გადაიყვანენ. გენერალური პროკურორის თანამდებობას, სავარაუდოდ, იუსტიციის ახლანდელი მინისტრი კოტე კემულარია დაიკავებს. გენპროკურორის პირველი მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე იუსტიციის საბჭოს მდივანი ვალერი ცერცვაძე მოიაზრება, ცერცვაძის ადგილზე კი პარლამენტარ ნიკა გვარამიას კანდიდატურას ასახელებენ.

თუმცა, მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებ სხვა ინფორმაციებიც ვრცელდება. რამდენად გამართლდება არსებული ინფორმაცია, ამას უახლოეს მომავალში ვიხილავთ.

**24 საათი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს და ყაზახეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები გააქტიურდება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში საქართველო-ყაზახეთის სამთავრობო ეკონომიკური კომისიის სხდომა გაიმართა. ყაზახეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრ ასკარ მამინის განცხადებით, კომისიის მიზანი ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაა. "დღეს საქართველოსა და ყაზახეთს შორის სავაჭრო ბრუნვა 40 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც არასაკმარისია და უნდა გაიზარდოს," - აღნიშნა მამინმა. ძირითადი საკითხები, რომლითაც ქართული მხარე ყაზახეთში ინტერესდება, ტრანსპორტი და ენერგეტიკაა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე და ყაზახეთის ტრანსპორტის და კომუნიკაციების მინისტრი ასკარ მამინი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს დღეს, საგარეო საქმეთა სამინისტროში გააფორმებენ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იაპონიაში 17 ოქტომბერს ტენდერი ჩატარდება. გამარჯვებული კომპანია საქართველოში ახალ ტრაქტორებს შემოიტანს. დაახლოებით 40-50 ტრაქტორი შემოვა სასურსათო წარმოების ზრდის პროგრამის (2 KR) ფარგლებში, რომელიც იაპონური გრანტით ფინანსდება. პროგრამის ფარგლებში, რომელიც საქართველოში 1998 წლიდან ხორციელდება, უკვე შემოტანილია 318 ტრაქტორი. პროგრამა, ტრაქტორების გარდა, სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მათ შორის, კომბაინების შემოტანასაც ითვალისწინებს. 1998 წლიდან საქართველოში სულ შემოსულია 1480 ერთეული ტექნიკა, მათ შორის, 130 კომბაინი. 2 KR-ის ფარგლებში, წლის ბოლომდე კიდევ 5 ახალი "კლასის" (CLASS) კომბაინი შემოვა, რომელსაც კომპანია "იტოჩიო" (ITOCHU) შემოიტანს. "იტოჩიომ" 2 სექტემბერს იაპონიაში ჩატარებულ ტენდერში გაიმარჯვა. ტექნიკის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გამოცხადდება კონკურსი, რომელში მონაწილეობაც სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს შეეძლებათ. ტექნიკის გასაყიდი ფასები და პირობები კონკურსის ჩატარებამდე დაზუსტდება. ტექნიკის გაყიდვიდან მიღებული თანხები საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ საპარტნიორო ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხება და სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდისკენ მიმართული პროექტების დაფინანსებას მოხმარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ერევანში საქართველო-სომხეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათშორისი კომისიის სხდომა დაიწყო. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გუშინ, სომხეთში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, მთავრობის სხვა წევრები და ქართველი ბიზნესმენები გაემგზავრნენ. სხდომაზე დაგეგმილია ორი ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს შორის თანამშრომლობის საკითხების განხილვა, მათ შორის - ტრანსპორტის, ენერგეტიკის და ვაჭრობის სფეროში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ინტერპოლისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის მიერ ძებნილი მოლდავეთის მოქალაქე დააკავეს.

როგორც სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განაცხადეს, დაკავების ღონისძიება სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "ბათუმის პორტში" განხორციელდა. ძებნილი რუსეთის დროშის ქვეშ მცურავ გემ "მიხეილ სვეტლოვზე" იმყოფებოდა, რომელიც "სოჭი-ბათუმის" რეისს ასრულებდა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტი დაკავებულის ვინაობას არ აკონკრეტებს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი 20 აგვისტოდან იძებნება. დაკავებული შემდგომი რეაგირებისთვის აჭარის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს გადაეცა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოში არსებული ოპერატიული ინფორმაციის შედეგად თბილისში, გლდანის მე-6 მიკრორაიონში დააკავეს განსაკუთრებით საშიში ყაჩაღური დაჯგუფების წევრი, მკვლელობის მცდელობისთვის და ყაჩაღობისთვის ძებნილი, 25 წლის კახაბერ ქვარია, რომელიც, შს სამინისტროს ინფორმაციით, 2004 წლის 19 ოქტომბერს იოსებ ბუდალაშვილთან და ვახტანგ ჭიჭინაძესთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა აღმაშენებლის გამზირზე მდებარე შპს "ფაეტონის" ოფისს, საიდანაც ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გაიტაცეს ფულადი თანხა და სხვადასხვა ნივთი. ქვარია, აგრეთვე, 17 იანვარს დაუდგენელ პირთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა აღმაშენებლის გამზირზე მდებარე შპს "უნიტას" ოფისს, სადაც იქვე მომუშავე ეზიაშვილს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცეს 300 ლარი, ხოლო ოფისის მენეჯერს ოდიკაძეს, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მუცელში მიაყენა ჭრილობები. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის შს მთავარი სამმართველოსა და ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს თანამშრომლებმა ვაჟა-ფშაველას გამზირზე დააკავეს თბილისში მოქმედი ბინის ქურდების ორგანიზებული ჯგუფის წევრები, ვანის რაიონის სოფ. გალმა ვანში მცხოვრები, ნასამართლევი, 27 წლის ბორის შარაშენიძე და მცხეთის რაიონის სოფ. ნიჩბისში მცხოვრები, 27 წლის ვალერი ბახტაძე, რომლებმაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, გაქურდეს ვაჟა-ფშაველას გამზირზე მცხოვრები თამარ შავლოხაშვილის ბინა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ს/ს "მეგობრობის" ეკონომისტმა თეთრ წყაროში მცხოვრებმა, 48 წლის მარინა აფციაურმა განაცხადა, რომ თბილისში, თემქის მე-3 მიკრორაიონში მცხოვრებმა, 42 წლის ლალი გოგოლაძემ 2004 წლის სექტემბერში მოტყუებით, ბინის დაგირავების მოტივით, გააფორმა ყალბი ხელშეკრულება და მას თაღლითურად გამოსძალა 100 აშშ დოლარი. 2005 წლის 10 ივნისს გოგალაძე დაკავებული იქნა მე-6 განყოფილების თანამშრომლების მიერ ანალოგიური დანაშაულებების ჩადენისათვის. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# საქართველოს პარლამენტი რუსეთის სამშვიდობო ძალებს ყვითელ ბარათს უჩვენებს

"რუსეთი არაოდ ხელს უწყობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებას, არამედ, პირიქით - მის მიერ გადადგმული არაერთი ნაბიჯი პირდაპირ ემსახურება სეპარატისტული რეჟიმების გაძლიერებას და საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივ ანექსიას," - ნათქვამია დადგენილების პროექტში.

იმის საილუსტრაციოდ, რომ რუსეთი დაინტერესებულია კონფლიქტების შენარჩუნებით, არაერთი არგუმენტია დასახელებული. კერძოდ, ის, რომ **"რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ხელისუფლება, ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით, ინტენსიურად აგრძელებს კონფლიქტის ზონებში დღეს დარჩენილი მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მასობრივად, გამარტივებული წესით მინიჭებას,"** - აგრეთვე, ისიც, რომ **"ცხინვალსა და სოხუმში უმაღლეს თანამდებობებზე ინიშნებიან რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც შეთავსებით აგრძელებენ მუშაობას რუსეთის ფედერაციის ძალოვან უწყებებსა და სპეცსამსახურებში."**

20 სექტემბერს ცხინვალში გამართული ე.წ "დამოუკიდებლობის დღისადმი" მიძღვნილი სამხედრო აღლუმი, რომელზეც სეპარატისტებმა დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკის დემონსტრირება მოახდინეს, როგორც ჩანს, იმ ბოლო წვეთად იქცა, რომელმაც ქართულ მხარეს მოთმინების ფიალა აუვსო. პარლამენტი მოითხოვს პასუხის გაცემას კითხვაზე: საიდან გაჩნდა ახალი რუსული სამხედრო მძიმე ტექნიკა ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრის მთელი პერიმეტრი საქართველოსა და რუსეთს ემიჯნება?

ამ კითხვაზე ქართული მხარე თავადვე პასუხობს. **"ეს ტექნიკა, ისევე როგორც გახშირებული სამხედრო წვრთნები, არის ნაწილი იმ გამალებული შეიარაღების პროცესისა, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების ზონებში ახორციელებს,"** - აღნიშნულია დადგენილების პროექტში.

ეს დოკუმენტი გუშინ, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ფართო საზოგადოებას საგანგებო ბრიფინგზე გააცნო, რომელსაც დადგენილების პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრებიც - მაია ნადირაძე, გიგა ბოკერია, კოტე გაბაშვილი, დავით ბაქრაძე და ნიკა რურუა ესწრებოდნენ.

**"მართალია, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრეები ვართ, მაგრამ ანექსიას, ეთნოწმენდის დაკანონებას და დემოკრატიის "თეთრი ლაქების" არსებობას უსასრულოდ ვერ მოვითმენთ,"** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი. მის აღშფოთებას ის ფაქტიც განაპირობებს, რომ კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამოთქმულ ინიციატივებს არც სეპარატისტების და არც რუსეთის მხრიდან არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია, და მეტიც, - მეორე მხარემ მას მთელი რიგი პროვოკაციებით უპასუხა.

**"ეს დადგენილება არ არის ულტიმატუმი, ჩვენ გვინდა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა, უბრალოდ, თავისი მოვალეობები შეასრულონ,"** - ასე განმარტავს დოკუმენტის მიზანს ნინო ბურჯანაძე.

რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მხარე ყურად არ იღებს საქართველოს პარლამენტის გაფრთხილებას, კონფლიქტის ზონებში ისევ [illegible] დგომას და ოფიციალური თბილისი იძულებული გახდება, სამშვიდობო პროცესის შეჩერება მოითხოვოს? დადგენილების პროექტის ავტორები ამაზე დღეს კონკრეტულ პასუხს ვერ იძლევიან. **"ეს არ იქნება მარტივი პროცესი, მაგრამ ისიც ნათელია, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა არჩევანი უნდა გააკეთონ - ან თავიანთი მოვალეობების შესრულება დაიწყონ, ან დატოვონ საქართველოს ტერიტორია,"** - აცხადებს გიგა ბოკერია.

რუსეთის სამშვიდობო ძალების შესაძლო ჩანაცვლებაზე საუბრისას, კოტე გაბაშვილი, თავის მხრივ, აღნიშნავს: **"პრაქტიკულად ჩემთვის ყველაზე უკეთესია, თუ რუს სამშვიდობოებს არავინ ჩაანაცვლებს და მათ ფუნქციას ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური გაერთიანებული შენაერთები შეასრულებენ. მაგრამ თუ ასეთ კონსენსუსს მაინც დასჭირდება სხვა ქვეყნის წარმომადგენლებით შევსება, დარწმუნებული ვარ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ასეთ ძალებს აუცილებლად მოიძიებენ."**

რაც შეეხება რუსეთის სამშვიდობოებისთვის ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთში მიცემულ განსხვავებულ "გამოსასწორებელ ვადებს" (პირველ შემთხვევაში - 15 თებერვალამდე, მეორე შემთხვევაში კი - 15 ივლისამდე), ნიკა რურუა ამას იმით ხსნის, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთთან შედარებით, მცირე ტერიტორიას წარმოადგენს და იქ უფრო მალე შეიძლება გამოჩნდეს პროგრესი.

**"ცხინვალი იქნება ტესტი იმისა, თუ რა მოხდება აფხაზეთში,"** - დასძენს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ასე იქნება თუ ისე, ექსპერტები [illegible], რომ ორიოდე კვირაში საქართველოს პარლამენტი [illegible]. დღეს ძნელი სათქმელია, ამის შემდეგ როგორ განვითარდება საქართველო-რუსეთის პოლიტიკური მატჩი: [illegible] ღებით, ანუ კონფლიქტის ზონებიდან რუსული სამშვიდობო ძალების გაძევებით დასრულდება.

# რა იქნება შემდეგ?

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, საქართველომ ყარაბაღის მოდელი უნდა შესთავაზოს მსოფლიოს, სადაც, კონფლიქტური სიტუაციის მიუხედავად, რუსი სამშვიდობოები არ იმყოფებიან და შუამავლის როლს ეუთო ასრულებს.

**"აზერბაიჯანელები და სომხები ჰოლანდიელები და გერმანელები არ არიან. ისინი ჩვენნაირი ტიპისა და მენტალობის ხალხია. ყარაბაღის მაგალითზე საქართველომ უნდა აიღოს გარანტია, რომ ქართველებმა და ოსებმა, ეუთო-ს დახმარებით, თავად მოაწესრიგონ ცეცხლის ზოლზე კონტროლი,"** - აღნიშნავს ზაქარეიშვილი. იგი მიიჩნევს, რომ საქართველომ აუცილებლად უნდა მოითხოვოს როკის გვირაბზე კონტროლი და კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია.

პოლიტოლოგი არჩილ გეგეშიძე იმ დროს იხსენებს, როდესაც საქართველომ სამშვიდობო ოპერაციის ინტერნაციონალიზაციის საკითხის დასმა საერთაშორისო ორგანიზაციებში, კერძოდ კი, გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე სცადა. **"მაშინ, სხვადასხვა ვითარების გამო, საერთაშორისო გეოპოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ამ საკითხში მხარი არ დაგვიჭირეს,"** - ამბობს გეგეშიძე.



პაატა ზაქარეიშვილი



არჩილ გეგეშიძე

მისი თქმით, პარლამენტის გადაწყვეტილება პოლიტიკურად სწორი ნაბიჯია, თუმცა შედეგების განჭვრეტა რთულია. **"შედეგი სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, თუნდაც იმაზე, რომ პარლამენტის დადგენილებას საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი ქმედება უნდა მოჰყვეს, რომელმაც, თავის მხრივ, ეს საკითხი დსთ-ს სამიტზე უნდა დააყენოს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მთელ ამ პროცესში ჩვენ გარანტირებული გვქონდეს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მხარდაჭერა. ამდენად, თუ ამ თემაზე საერთაშორისო ასპარეზზე კონსულტაციები იყო, თუ ამდაგვარი გარანტიები მიღებულია, მაშინ პარლამენტის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი გარკვეული სტრატეგიის ნაწილია და, საბოლოო ჯამში, იგი გარკვეულ შედეგს გამოიღებს,"** - განაცხადა გეგეშიძემ.

# ნებისყოფათა ჭიდილი ერევანში

ცდილობს(და ნაწილობრივ ახერხებს კიდეც), საქართველოს სახელმწიფო სისტემები რეგიონში რეალურად განავრცოს.

თანაც, აქ იგულისხმება არა მხოლოდ საბაჟო, სასაზღვრო, სასამართლო თუ სხვა სისტემები, არამედ მოსახლეობისათვის სოციალური პრობლემების გადაწყვეტის რეალური შეთავაზება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა, გზების აშენება და ასე შემდეგ.

შეუძლებელია ამ დემარშს ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტზე გარკვეული დაღი არ დაესვა, თუმცა ვითარების დაძაბვა საქართველოს პრემიერს არ უცდია - ამგვარი საკითხების ესოდენ მაღალ დონეზე დასმა, დღევანდელ ვითარებაში სერიოზული შეცდომა იქნებოდა და "ნერვების მოუთოკავობას" გარკვეული ძალები "სარფიანადაც" გამოიყენებდნენ.

მაგრამ რაც შეეხება დიპლომატიურ დემარშებსა და პოლიტიკურ ენას, აქ ზურაბ ნოღაიდელმა თქვა ყველაფერი - იმ ზომითა და ფორმით, რასაც საერთაშორისო ეტიკეტი აწესებს.

მაგალითად, ერთობლივი სამთავრობათაშორისო კომისიის მორიგი სხდომის ოქმში დადასტურდა ქართული მხარის პოზიცია ერევნის წინადადებაზე - ახალქალაქის სომხური უნივერსიტეტის გახსნის შესახებ.

საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვანია: ჯერ-ერთი, ეს უნდა იყოს ქართულ-სომხური უნივერსიტეტი, იგი უნდა მუშაობდეს საქართველოს განათლების სამინისტროს ეგიდით, შესაბამისი პროგრამების და დამტკიცებული სახელმძღვანელოების საფუძველზე.

გარდა ამისა, მისი დაფუძნება ახალქალაქში ხელს უნდა უწყობდეს ამ რეგიონის შემდგომ ინტეგრაციას საქართველოს სახელმწიფოს სისტემაში. საკითხი მომავლისათვის გადაიდო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოზიცია ამ შემთხვევაში იმ დებულებას ეფუძნებოდა, რომ ჯავახეთში მოქმედი ორგანიზაციები დიდ შეცდომას უშვებენ, როდესაც "ინტეგრაციას" - "ასიმილაციასთან" აიგივებენ და ამ ყალბი სლოგანით ცდილობენ ორ მეზობელ, ისტორიულად მოძმე ქვეყანას შორის პოლიტიკური პრობლემების შექმნას.

ამ პროცესში, "ზეწვის ხიდზე" გავლისას, ბევრი რამ ქართველი პოლიტიკოსების ხელოვნებასა და ნებისყოფაზე იქნება დამოკიდებული.

# დეპოზიტები და მათი დაზღვევა

პირველი გვერდიდან

მცირდება წლების მანძილზე გახსნილი საშუალო ანაბრის მაჩვენებელიც ერთ მეანაბრეზე: 2002 წელს ერთ მეანაბრეზე საშუალოდ 27800 ლარი მოდიოდა, 2003 წელს - 14600 ლარი, 2003 წელს - 11500 ლარი, 2005 წლის 6 თვე - 7200 ლარი. ეს ძალიან საინტერესო ტენდენციაა და მისი გაძლიერება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ანაბრების დაზღვევის სისტემაზე გადასვლას.

**- ეს სტატისტიკა ნიშნავს, რომ საშუალო ფენის მეტმა წარმომადგენელმა შეიტანა ფული ბანკში? და ქართულ ბანკებს უკვე მცირე დანაზოგიც კი ანდეს?**

- ეს ნიშნავს, რომ წვრილი და საშუალო მეანაბრეების რაოდენობა აშკარად გაიზარდა. ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია. ბუნებრივია, ამ კატეგორიის მეანაბრეების დაცვის აუცილებლობის საკითხი დადგა.

**- დღეს რა იცავს ამ ადამიანების ანაბრებს?**

- დღეს, პირველ რიგში, კომერციული ბანკის სწორი მართვა და ეროვნული ბანკის ზედამხედველობა იცავს. მსოფლიო გამოცდილებით, ცნობილია, რომ სამი კომპონენტი უნდა იყოს - ეფექტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მოქნილი ზედამხედველობა და დეპოზიტების დაზღვევის მექანიზმების არსებობა.

**- სადაზღვევო კომპანიები დეპოზიტებს არ აზღვევენ?**

- სამწუხაროდ, ჯერ არა.

**- რატომ, რისკია დიდი?**

- ჯერ ერთი, ეს ბაზარი მათთვის ბოლომდე შესწავლილი არ არის. თან, აქ არსებობს ზედამხედველი - ეროვნული ბანკი. ამიტომ, დეპოზიტების დაზღვევის მექანიზმის შექმნა უფრო რთულია, ვიდრე, ვთქვათ, უძრავი ქონების დაზღვევის. უნდა ვთქვათ, რომ ეს ყველაფერი უცებ არ ხდება. დანერგვიდან ამოქმედებამდე, მინიმუმ, წელიწადნახევარი მაინც არის საჭირო. რუსეთში, მაგალითად, პირველი კანონპროექტი, დეპოზიტების დაზღვევასთან დაკავშირებით, 1995 წელს შევიდა დუმაში და 2004 წელს დამტკიცდა. იმიტომ, რომ მენტალობის პრობლემაც არის, რუსეთის საბანკო სისტემა უზარმაზარია, ძალიან მზარდი და დინამიური, გასათვალისწინებელია უამრავი დეტალი. მე მიმაჩნია, რომ საქართველოს საბანკო სისტემა დეპოზიტების დაზღვევის კუთხით აგვიანებს. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ანაბრების დაზღვევის სისტემები დაინერგა: 1998 წელს ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთსა და უკრაინაში, 1999 წელს - ყაზახეთში, 2004 წელს - რუსეთში და 2005 წელს - სომხეთში, სისტემის არაკლასიკური, ამასთან, ბევრი ნაკლოვანებების მატარებელი მოდელი მოქმედებს ბელორუსში. მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული აზერბაიჯანში და ყირგიზეთში, და 1-2 წელიწადში ეს სისტემა ამ ქვეყნებშიც დაინერგება.



ირაკლი კოვზანაძე

ჩვენთან ეს პროცესი უსაშველოდ გაიწელა. ჩვენ კომიტეტში უკვე არის კანონპროექტი. პრაქტიკულად, შეგვიძლია საკანონმდებლო ინიციატივად მისი შეტანა. თუმცა, მაინც ველოდებით ეროვნული ბანკის პროექტს - იქნებ შევაჯეროთ და ერთობლივად შევიტანოთ.

**- კანონპროექტის მთავარი არსი რაში მდგომარეობს?**

- არის რამდენიმე საბაზისო კითხვა, რომელზეც უნდა გაიცეს პასუხი. მაგალითად, ასეთი - უნდა იყოს თუ არა დეპოზიტების დაზღვევა სავალდებულო? ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა იყოს სავალდებულო.

**- ვინ უნდა დააზღვიოს დეპოზიტი, ბანკმა?**

- უნდა შეიქმნას დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, რომლის მთავარი დამფუძნებელი იქნება ეროვნული ბანკი. შეიძლება დამფუძნებელი იყოს ფინანსთა სამინისტროც, თუმცა, მე მიმაჩნია, რომ ეროვნული ბანკი საკმარისი იქნება. სააგენტოს ეყოლება თავისი სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი. სააგენტოსთან იქმნება დეპოზიტების დაზღვევის ფონდი, რომელშიც გარკვეული ანარიცხებით შედიან კომერციული ბანკები, თუმცა პირველად შენატანებს აკეთებს მთავრობა და ეროვნული ბანკიც. შემდეგ, სისტემის მონაწილე ბანკები ანარიცხებს რეგულარულად იხდიან. საქართველოს საბანკო სისტემაში 20 ბანკია. მათ შორის ექვსი არის სისტემის შემქმნელი ბანკი, სადაც დეპოზიტების, ისევე როგორც აქტივების 80-85 პროცენტია თავმოყრილი. როგორც აღვნიშნე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში მონაწილეობას უნდა ჰქონდეს სავალდებულო ხასიათი. ეს ნიშნავს, რომ იმ კატეგორიის ბანკები, რომლებიც მოსახლეობისგან დეპოზიტებს იღებენ, ამ სააგენტოში უნდა გაწევრიანდნენ. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ერთბაშად, ეს უნდა მოხდეს არჩევით - ეროვნულმა ბანკმა და შესაბამისმა ჯგუფმა, რომელიც შეისწავლის ამ ნაწილში ბანკის მუშაობას, უნდა დადოს დასკვნა.

**- ანუ, უნდა დადოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბანკის დაზღვევა ღირს? იმისათვის, რომ სახელმწიფოს ნაკლები რისკი ჰქონდეს?**

- აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ჩემი და თქვენი დეპოზიტები დაზღვეული უნდა იყოს. ანუ, ქვეყანაში რაღაც რომ მოხდეს, ბანკის ლიკვიდაციის პრობლემა დადგეს, მე და თქვენ გარანტირებული უნდა ვიყოთ. ბანკი შეიძლება დაიხუროს, თუმცა სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში ჩვენი თანხები უნდა ანაზღაურდეს.

**- საუბარია მხოლოდ წვრილი და საშუალო მეანაბრეების დაზღვევაზე თუ, ზოგადად, ყველა მეანაბრის?**

- ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია - რა სიდიდის ანაბრების დაზღვევაზეა საუბარი? ეს არის დამოკიდებული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელზე. ჩვენი გათვლებით, ეს უნდა იყოს 4000-5000 ლარამდე არსებული დეპოზიტები, ანუ დაახლოებით - 2500-3000 დოლარამდე. თუ ზემოთ მოყვანილ სტატისტიკას გადავხედავთ, ეს ნიშნავს, რომ მეანაბრეთა 70 პროცენტის დაზღვევა მოხდება.

**- შეიძლება, ერთმა ადამიანმა რამდენიმე 4000-ლარიანი ანაბარი გახსნას და ამ გზით ყველა მათგანი დააზღვიოს?**

- ამის მექანიზმიც არსებობს - თუ ეს ანაბრები არსებობს ერთი და იგივე ბანკში, ასეთ შემთხვევაში ისინი გაერთიანდება და მეანაბრე ერთის თანხას აიღებს. ხოლო თუ სხვადასხვა ბანკშია, მაშინ ცალ-ცალკე დაიზღვევა.

**- დაიზღვევა როგორც ლარებში, ისე დოლარებში არსებული ანაბარი?**

- დაიზღვევა ნებისმიერ ვალუტაში არსებული ანაბარი, თუმცა დაზღვევის თანხას მეანაბრე აიღებს ლარებში, შესაბამისი კურსით.

**- რა შემთხვევაში ხდება ანაბრის ანაზღაურება? როცა ბანკი კოტრდება?**

- როცა ბანკი გადახდისუუნაროა, როცა ბანკის ლიკვიდაცია იწყება, როცა მეანაბრეს დაუდგა ვადა და ის თანხას ვერ იღებს. ის, ვისაც დიდი მოცულობის თანხები აქვს, ცოტაა. მეანაბრეების ძირითადი რაოდენობა არის საშუალო და წვრილი ფენის წარმომადგენელი, რომლებსაც ეს სისტემა დააზღვევს. ამით ჩვენ სისტემას პანიკისგანაც ვიცავთ. ამის შედეგად კი, მე არ გამოვრიცხავ, რომ მსხვილმა მეანაბრეებმაც აიღონ თანხები - ბანკს ხომ აქვს თავისი აქტივები, რომლის რეალიზაციის შემდეგ თანხების გასტუმრება ხდება. ამიტომ, პანიკისგან სისტემის დაცვაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**- დაზღვევის საფასურს ვინ იხდის - ბანკი თუ დეპოზიტის პატრონი?**

- გადამხდელი არის ბანკი. ბანკს, რომელიც ამ სისტემაში გაწევრიანდება, პერიოდულად მოუწევს ანარიცხის შეტანა ფონდში. ანარიცხი აითვლება მისი ამ კატეგორიის ანაბრების - ანუ დასაზღვევი ანაბრების საერთო ოდენობიდან. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არ ამოვალთ დეპოზიტების საერთო რაოდენობიდან, ჩვენ ამოვალთ 4000-5000 ლარამდე დეპოზიტების საერთო რაოდენობიდან. თუ ბანკი ფიზიკური პირების დეპოზიტებს არ იღებს, მაშინ ამ ბანკს სისტემაში გაწევრიანების ვალდებულება არ ექნება. სხვათა შორის, ბანკი, რომელშიც ფიზიკური პირების დეპოზიტები შედის, ამ სისტემაში გაწევრიანებით თავადაც დაინტერესებული უნდა იყოს, რადგან ასეთ ბანკში მეტი მეანაბრე მიდის. სხვათა შორის, საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედების შემდეგ, დეპოზიტების საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება ხოლმე. დეპოზიტების რაოდენობის ზრდასთან ერთად კი, ძლიერდება კონტროლი, რადგან სააგენტო თავისი კუთხით ერთგვარი ზედამხედველიც არის და, შესაბამისად, საბანკო სისტემა უფრო სტაბილური ხდება.

**- სააგენტოს ხელმძღვანელობა ვინ უნდა დანიშნოს? რამდენად იარსებებს იმის გარანტია, რომ სახელმწიფო თავის თავზე ზედმეტ რისკს არ აიღებს?**

- სააგენტოს ეყოლება სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც, სავარაუდოდ, პარლამენტი დანიშნავს. საბჭო კი დანიშნავს თავმჯდომარეს.

**- კანონპროექტს პარლამენტი როდის განიხილავს?**

- კანონპროექტი ჩვენ მზად გვაქვს. უახლოეს პერიოდში მას ჩვენი კომიტეტის საიტზე დავდებთ. ყველა დაინტერესებულ მხარეს მოვუწოდებ, რომ ამ პროცესში მონაწილეობა მიიღოს.

## ბანკების პოზიცია

**ვახტანგ ბუცხრიკიძე ("თიბისი" ბანკის გენერალური დირექტორი):** ეს აუცილებლად განსახორციელებელი ინიციატივაა, რომელსაც ჩვენ მხარს დავუჭერთ. ჩემთვის ცნობილია კანონპროექტის პირველადი ვარიანტი, რომელიც ძალიან საინტერესოა და მის ძირითად პრინციპებს ვეთანხმები. საქართველოში, თუ მას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შევადარებთ, ერთობლივ ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში დეპოზიტების მოცულობის პროცენტი ძალიან დაბალია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩვენთან ძალიან დიდი პოტენციალი არსებობს. ეს ინიციატივა იქნება ერთ-ერთი ბერკეტი და საშუალება საბანკო სექტორისადმი ნდობის გაზრდისათვის. ეს, რა თქმა უნდა, გრძელვადიანი პროგრამაა და შესაძლოა, ერთ წელიწადში შედეგი ვერ გამოიღოს, მაგრამ ამის დაწყება უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

**ირაკლი მექვაბიშვილი (გაერთიანებული ქართული ბანკის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე):** ეს ძალიან მისასალმებელი ინიციატივაა, როგორც ჩვენი ბანკისთვის, ასევე მთლიანად საბანკო სექტორისთვის. შესაბამისად, გაერთიანებული ქართული ბანკი ამ წინადადებას მხარს დაუჭერს. ამის საშუალებით ბანკების მიმართ ნდობა ამაღლდება, მოსახლეობაში არსებული "დაძინებული", შენახული თანხები რეალურ ეკონომიკაში შევა და ამუშავდება, ბანკებში მეტი თანხების მობილიზაცია მოხდება და ა.შ. გარკვეულწილად, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოტანა ქართული საბანკო სექტორისთვის დაგვიანებულიც კი არის. დსთ-ს უმეტეს ქვეყნებში, ევროპის წამყვან ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, უკვე წლებია, მოქმედებს.

# თბილისი შსკ-ს ფორმატზე უარს აცხადებს

*თბილისი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციასა და შერეული საკონტროლო კომისიის დღემდე არსებულ ფორმატში მონაწილეობას აღარ აპირებს. ამის შესახებ მოსკოვში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ განაცხადა.*

მიზეზი ამ ორგანოს არაეფექტურობაა. საქართველო სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის ახალ ფორმატს მოძებნის. **"შესაძლოა, ეს დღეს არ მოხდეს, მაგრამ შესაძლოა, ეს მოხდეს ხვალ... ვფიქრობ, ჩვენ შსკ-ს ფორმატს აღარ დავუბრუნდებით,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი, უკვე სამი დღეა, რაც მოსკოვში იმყოფებიან. მათ შეხვედრები გამართეს რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანთან იგორ ივანოვთან და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ვალერი ლოშჩინინთან.

შერეული საკონტროლო კომისია ქართულ, სამხრეთ ოსურ, რუსულ და ჩრდილოეთ ოსურ მხარეებს აერთიანებს. იგი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1992 წლის შეთანხმების შესრულების მიზნით შეიქმნა. ამ ეტაპზე კი ხაინდრავა მას "აბსოლუტურად უსამართლოს" უწოდებს, რადგან **"ჩვენს წინააღმდეგ გამოდის სამი მხარე - რუსული, სამხრეთ ოსური და ჩრდილოეთ ოსური."**

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე სახელმწიფო მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ სამშვიდობო პროცესში ჩართულია ეუთო-ც, თუმცა "მისი როლი მინიმალურია".

ცხინვალის ოფისის და თავისი დამკვირვებლების საშუალებით ეუთო ინფორმაციას აგროვებს კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაციის თაობაზე, ასევე აკონტროლებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევას.

ხაინდრავამ ხაზი გაუსვა, რომ ეუთო-მ, ისევე როგორც ევროკავშირმა, უფრო გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ სამშვიდობო პროცესში.

მან ასევე განაცხადა, რომ ამჟამად დღის წესრიგში დგას სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო პროცესში აშშ-ს მონაწილეობის საკითხი და **"ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს საკითხი მოგვარდება."**

ხაინდრავამ ასევე გააკრიტიკა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის არსებული ფორმატიც. შერეული სამშვიდობო ძალები სამი ბატალიონისგან შედგება: თითო-თითო ბატალიონი ქართველი და რუსი სამხედროებითაა დაკომპლექტებული. მესამე ასევე რუსეთის მოქალაქეებითაა დაკომპლექტებული, ოღონდ, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკიდან.

ხაინდრავას თქმით, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი არ უნდა იყოს წარმოდგენილი სამშვიდობო ოპერაციებში.

თბილისში ასევე განიხილება სამშვიდობო ოპერაციის ინტერნაციონალიზაციის საკითხი, თუმცა რუსი სამშვიდობოების კონფლიქტის ზონიდან შესაძლო გაყვანაზე საუბარი "ჯერ ძალიან ადრეა."

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, რუსეთსა და თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთს სურვილი არ აქვთ, გამოძიებულ იქნას 20 სექტემბერს ცხინვალში ჭურვების აფეთქების ფაქტი მაშინ, როცა საქართველო დაჟინებით მოითხოვს მომხდარის გამოძიებას.

**"ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც რუსული და ვერც ოსური მხრიდან განსაკუთრებულ დაინტერესებას, გამოძიებულ იქნას ეს ინციდენტი და გამოვლინდნენ დამნაშავეები,"** - აღნიშნავს ხაინდრავა და დასძენს, რომ თბილისს აქვს მონაცემები, რომ ცხინვალის დაცხრილვა სპეციალურად იყო მოწყობილი, **"რათა ქართული მხარე არასახარბიელო კუთხით წარმოჩინებულიყო."**

გიორგი ხაინდრავამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ქართული მხარე დაინტერესებულია ცხინვალის ინციდენტის გამოძიებით და მზადაა, გამოძიება ქართველი სამხედრო ექსპერტების გარეშე, ნეიტრალური ექსპერტების მონაწილეობით წარიმართოს.

**24 საათი**

# სერგეი შამბა: სამშვიდობოების გაყვანა საომარი მოქმედებების განახლებას გამოიწვევს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობოების გაყვანის შემთხვევაში, საომარი მოქმედებების განახლებას და საქართველოს შეიარაღებული ძალების "აფხაზეთში 1993 წლის მსგავსი მარცხის" განმეორებას პროგნოზირებს.

"ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთში საომარი მოქმედებებისათვის ემზადება. ამის თქმის საშუალებას საქართველოს მილიტარისტული ბიუჯეტი, პრეზიდენტ სააკაშვილის საომარი რიტორიკა მაძლევს," - აღნიშნავს შამბა.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთისაგან კატეგორიულად მოითხოვა აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გაყვანა, აფხაზეთში საომარი მოქმედებების განახლება გარდაუვალი იქნება და იგი "ქართული მხარისათვის იმავე შედეგით დასრულდება, როგორითაც ერთხელ უკვე დასრულდა." **ინტერპრესნიუსი**

# ჩოჩიევი ბურჯანაძეს მიღებული შეთანხმებების არცოდნაში ადანაშაულებს

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ საქართველოს პარლამენტში შემუშავებულ დადგენილებას არარეალურს უწოდებს და აცხადებს, რომ ცხინვალის რეგიონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხი დაგომისში სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მიღებული შეთანხმებებით ორივე მხარის გადასაწყვეტია.

ჩოჩიევი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და ქართველ პარლამენტარებს სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მიღებული შეთანხმებების არცოდნაში ადანაშაულებს.

მისი თქმით, ცხინვალის რეგიონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის მექანიზმი საქართველოსა და რუსეთის ყოფილი პრეზიდენტების, ედუარდ შევარდნაძისა და ბორის ელცინის მიერ 1992 წლის 24 ივლისს ხელმოწერილ შეთანხმებაში განსაზღვრული არ არის. მეტიც, მასში აღნიშნულია, რომ სამშვიდობოები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კონფლიქტის მოგვარებამდე უნდა დარჩნენ.

"სამხრეთ ოსეთიდან სამშვიდობო ძალების გაყვანა იმის გამო არ არის რეალისტური, რომ 1997 წელს შევარდნაძე-ჩიბიროვს შორის ხელმოწერილ ოქმში, თეთრზე შავით აღნიშნულია, რომ სამშვიდობოების გაყვანის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ ორივე მხარის გადასაწყვეტია," - აცხადებს ჩოჩიევი.

ბორის ჩოჩიევი ქართულ მხარეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაწყვეტის სასარგებლოდ აღებული კურსის გამო ადანაშაულებს. **ინტერპრესნიუსი**

# ბეჟუაშვილი ივანოვთან შეხვედრით კმაყოფილია

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი მოსკოვში, თავის რუს კოლეგასთან იგორ ივანოვთან გამართული შეხვედრით კმაყოფილია, თუმცა აცხადებს, რომ რუსულმა მხარემ მის მიერ დასმულ ბევრ შეკითხვას ვერ უპასუხა.

ბეჟუაშვილი რუსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან იგორ ივანოვს დაახლოებით ხუთი საათის განმავლობაში ესაუბრა, რომლის დროსაც მხარეებმა ყველა იმ საკითხზე ისაუბრეს, რაც ცხინვალში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს ეხებოდა.

გელა ბეჟუაშვილი კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით რუსეთის პოზიციით დაინტერესდა და რუსულ მხარეს საქართველოს კანონიერი ინტერესების დაცვისკენ მოუწოდა. **ინტერპრესნიუსი**

# ნატო-ს შემფასებელთა მისიის წარმომადგენლები საქართველოში

თბილისში სამუშაო ვიზიტით მყოფმა ნატო-ს შემფასებელთა მისიის წარმომადგენლებმა გუშინ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძესთან შემაჯამებელი შეხვედრა გამართეს. მათ "აიპაპ"-ის განხორციელების პროცესზე ისაუბრეს. "საქართველოში "აიპაპ"-ის რეალიზაციის საქმეში ძალიან სერიოზული პროგრესი აღინიშნა, თუმცა აქვთ კონკრეტული, სერიოზული საკითხები, რომლის თაობაზეც ისინი თავიანთი მოხსენებების დაწერას აპირებენ. არის მიმართულებები, სადაც ჩვენ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, ცალკეულმა კონკრეტულმა უწყებებმა," - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ გიორგი ბარამიძემ.

შეხვედრას ესწრებოდნენ ნატო-ს საერთაშორისო სამსახურის პოლიტიკისა და დაგეგმვის დირექტორატის წევრი ბრუს ბახი, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის თანაშემწე ჯეიმს მაკკეი და საქართველოში ნატო-ს მეკავშირე ოფიცერი რომუალდს რაჟუკსი.

საქართველოში მათი ვიზიტის მიზანია ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის, "აიპაპ"-ის განხორციელების შუალედური არაფორმალური შეფასება. **მედიანიუსი**

პროექტი მიმდინარეობს ფონდი "ღია საზოგადოება -საქართველო", განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაზეთი "24 საათის" თანამშრომლობით.

# განცხადება
# ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს **2005 წლისათვის ავტომანქანების სახელმწიფო შესყიდვაზე**, რომელიც დაყოფილია ლოტებად:

| ლოტი | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | მსუბუქი ავტომანქანა (სედანი), ძრავის მოცულობა 2000-2500 სმ$^3$, ბენზინზე მომუშავე, 4 ცილინდრიანი, 4 კარიანი, სრული ელექტრო პაკეტით, გამოშვების წელი - 2005 | 2 (ორი) ერთეული | ქ.თბილისი |
| 2 | Mმიკროავტობუსი, ძრავის მოცულობა 2000-2500 სმ$^3$, ბენზინზე მომუშავე, 4 ცილინდრიანი, გადაცემათა მექანიკური კოლოფით, 4 კარიანი, 15 ადგილიანი გამოშვების წელი - 2005 | 1 (ერთი) ერთეული | |

დაფინანსების წყაროა - სახელმწიფო ბიუჯეტი.

**2.** ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მოწოდება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად.

**3.** ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების მიხედვით.

**4.** ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე **მ.წ. 17 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრის 17.00 საათამდე** სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: **ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.**

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**5.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**6.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით **მ.წ. 18 ოქტომბერს.**

**8.** ღია ტენდერში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად შესატანია **სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარი.**

**9.** სატენდერო დოკუმენტაცია დგება ქართულ ენაზე. პრეტენდენტებზე მათი გაცემა მოხდება **მ.წ. 24 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის 17.00 საათამდე** სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სატენდერო კომისიაში.

**10.** დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სატენდერო კომისის აპარატში, შემდეგ მისამართზე: **ქ.თბილისი, ჭოროხის ქ. N6. ტ: 923321,** საკონტაქტო პირი - დავით მეგრელიძე.

**საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სახელით სატენდერო კომისია**

# გილოცავთ ახალ სასწავლო წელს

*დაიწყო ახალი სასწავლო წელი და ჩვენი გვერდიც "წერილები მთავრობას" განახლდა. ზაფხულში "ღია საზოგადოება-საქართველოს " პროგრამის "კანონიერების კულტურის" სკოლების მერვე და მეცხრე კლასის მოსწავლეებს შეხვედრა ჰქონდათ მაშინდელ ქალაქის მერთან ზურაბ ჭიაბერაშვილთა. 116-ე, 68-ე, 46-ე, 47-ე სკოლის მოსწავლეებმა მერს უამრავი და მრავალფეროვანი შეკითხვა დაუსვეს. საუბარი ორმხრივად საინტერესო გამოდგა - როგორც ყოველთვის მოსწავლეები გულწრფელად აყალიბებდნენ საკუთარ სატკივარს და ბოლოს აღნიშნეს, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილმა მათ სრულფასოვანი პასუხები გასცა, სრულად დააკმაყოფილა ისინი. ეს საუბარი დღეს ნაკლებად აქტიურია, რადგან ქალაქს ახალი მერი ჰყავს და მასთან მოსწავლეების საუბარს შემდეგში შემოგთავაზებთ, ისევე როგორც საუბარს განათლების, იუსტიციის და სხვა სფეროების მინისტრებთან და მმართველი სტრუქტურების სხვა წარმომადგენლებთან. პროგრამაში მონაწილე სკოლების მოსწავლეებთან ერთად, ჩვენი გვერდი დაბეჭდავს სხვა სკოლის მოსწავლეთა წერილებსაც, სადაც დასმული იქნება პრობლემური საკითხები და ამ შეკითხვებზე პასუხი გაცემა მთავრობის წარმომადგენლების მოვალეობაა.*

*ახლა გთავაზობთ ზურაბ ჭიაბერაშვილთან საუბრის მნიშვნელოვან მონაკვეთს, რომელიც, მართალია, უფრო ზოგადია და თბილისის პრობლემებს კონკრეტულად არ პასუხობს, მაგრამ მნიშვნელოვანია სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.*

ზურაბ ჭიაბერაშვილი

## რა არის მთავარი

ორი რამ. პირველი, ეფექტური მმართველობის ჩამოყალიბება და შიდა რეორგანიზაცია.

მეორე,ინფრასტუქტურა, ეს გზებია და ის, რაც გზების ქვევით ხდება-კანალიზაცია, წყალმომარაგება...

ჩვენ ვაშენებთ გემს გზაში ისე, რომ გემი მიცურავს. ჩვენ თან კონკრეტული პრობლემები უნდა გადავჭრათ და ამავე პერიოდში თან სისტემა უნდა გამოვცვალოთ.

სიღარიბე-ეს სერიოზული პრობლემაა გამოხატული იმაში, რომ ეს დასაქმების პრობლემაა. დასაქმება კი სახელმწიფოს პირდაპირი ფუნქცია არ არის. სახელმწიფოს ფუნქციაა, შეუქმნას კერძო ბიზნესს ისეთი პირობები, რომ მან შექმნას დასაქმების ადგილები. მაგალითად, გავხსენი ერთი მაღაზია, ვთქვათ, "პოპული", თუ კარგი პირობებია, გავხსენი მეორე, მესამე... სახელმწიფოს ფუნქცია ის კი არ არის, რომ დავუძახოთ კერძო ბიზნესს და დავავალოთ ათასი ადგილის გახსნა, სახელმწიფოს ფუნქციაა, ნაკლებად ვაწუხებდეთ ამ ხალხს და შევუქმნათ პირობები. მე დარწმუნებული ვარ, რომ სამუშაო ადგილები სულ უფრო და უფრო შეიქმნება.

თქვენი უფროსი თაობის, ბებია-ბაბუების, მშობლების წარმომადგენლები იმიტომ კი არ დარჩენილან უმუშევარი, რომ დაბალი კვალიფიკაცია ჰქონდათ, არამედ იმიტომ, რომ ის პროფესიები აღარ იყო საჭირო. ამიტომ ეს სხვა პრობლემაა და სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ამ ადამიანების კვალიფიკაციაზე. სხვათა შორის, განათლების სამინისტრო ამზადებს ამ კანონს. მე 33 წლის განმავლობაში ბევრი პროფესია გამოვიცვალე. თქვენს თაობაში, ახალგაზრდობაში, დაბეჯითებით ვიცი, რომ თუ ვინმეა დაუსაქმებელი, ეს მისი "ბრალია "- მშობელი არ აქცევდა ყურადღებას, რომ დაეძალებინა და დაესვა წიგნთან თავისი შვილი.

მთავარი სკოლის პერიოდში , იმისათვის, რომ მერე კონკურენტუნარიანი იყო, არის რეჟიმი და ცოდნის მიღების ზოგადი უნარი. მე სკოლა მედალზე მაქვს დამთავრებული, მაგრამ დღეს შეიძლება, დისკრიმინატის ფორმულა ვერ გავიხსენო, ან ბუტკო და მტვრიანა ერთმანეთისგან ვერ გავარჩიო, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მე ყველაფერს ვსწავლობდი და მთავარია, რომ მერე ცხოვრებაში რისი სწავლაც არ უნდა დაგჭირდეს, არ გაგიჭირდება და ადვილად ისწავლი. რამდენი ადამიანია, რომ გეტყვის - "აუ, მაგას რა მასწავლის...სკოლაშიც ვერ ვიტანდი მათემატიკას, არ მიყვარდა გეოგრაფია..." არ არსებობს, თუ ადამიანმა რამის სწავლა მოინდომა და ის ვერ ისწავლოს. უბრალოდ, ბავშვის გონება ზარმაცდება და ტვინი ზანტდება. ამიტომ თქვენ იმიტომ კი არ უნდა ისწავლოთ ბუტკო და მტვრიანა, რომ მაინცდამაინც ის დაგჭირდებათ, არამედ იმიტომ, რომ მერე რისი სწავლაც არ უნდა დაგჭირდეთ ასფალტის საქმე იქნება, თუ საარჩევნო კოდექსი, ეს შეძლოთ. სკოლა და უნივერსიტეტი უნდა გაძლევდეთ უნარს, ისწავლოთ დამოუკიდებლად. აი, დასავლეთში რომ წახვალთ და ჩვენთანაც გაიგონებთ ტერმინს "განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე". მე დღეს ბევრ რამეს ვსწავლობ. განათლება არ არის პროცესი, რომელიც ერთ დღეს მთავრდება. წიგნი მუდმივად გჭირდება. ეს უნდა იყოს ჩვევა. მე შვილს კომპიუტერი არ ვუყიდე მანამ, ვიდრე წიგნის კითხვა ჩვევად არ გადაექცა. მთავარია, მივეჩვიოთ წიგნს. ეს საუბარი სიღარიბეს მოვაყოლე. მე არ მყოლია მშობლები "ცნობილი ტიპები", რომ "გავექაჩე". "უბრალო" ადამიანი გავხდი მერი, იმიტომ, რომ ყველა საქმეს პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი-როგორც ფიზიკაშია ენერგიის მუდმივობის კანონი, ასეა სოციალურ სფეროში-არც ერთი წუთი, რომელიც თქვენს თავზე დაგიხარჯავთ, არც ერთი საქმე, რაც გაგიკეთებიათ, არ არის დაკარგული. ხშირად გამიკეთებია საქმე, რომლის ნაყოფი ხუთი წლის შემდეგ მიმიღია. ამიტომ, "ქვაზე დადე, გაიარე", პირველ რიგში, საკუთარ თავს ეხება. საკუთარი თავის განვითარებაზე დახარჯული დრო არ იქნება დაკარგული.

ვინ ვარ მე - ჟურნალისტი, ფილოსოფოსი, მერი, "ცესკო"...

ბევრჯერ მსმენია ჩემზე, ასეთი უვიცი მერი არ გვყოლიაო. მოვა დრო და მე დავუბრუნდები ჩემს ყველაზე საყვარელ საქმეს - ლექციების კითხვას. აი, ეს არის ჩემი ყველაზე საყვარელი საქმე-როცა სხვას ვეხმარები წაკითხულის გაგებაში. როცა "იესემში" ვკითხულობდი, იმ ბავშვებთან დღემდე ვმეგობრობ და ხშირად მოდიან ჩემთან რჩევის საკითხავად. როცა სტუდენტებთან მაქვს ურთიერთობა, მე მათ ხშირად "ვატყუებ" -ჩამიწერინებია საკითხები და როცა მოდიოდნენ ჩათვლაზე, პირდაპირ ჩამითვლია. მთავარი იყო წაეკითხათ და არა მე შემეფასებინა. მერე მეჩხუბებოდნენ, რატომ გვათევინე ღამეო?! ასე რომ არ გამეკეთებინა, ხომ არ წაიკითხავდით-მეთქი? მთავარი იყო შედეგი, რომ წაეკითხათ. მერობა, ცესკო და თავისუფალი არჩევნები ჩავლილია და გაივლის, მთავარია, ადამიანმა არ დაკარგოს საკუთარი თავი და მიმაჩნია, რომ მე ამ თანამდებობაზე არც დავბადებულვარ, არც მოვკვდები და არც ამ თანამდებობას შევუქმნივარ. ჩემი მეგობრებისთვის და ვინც მე მიცნობს, პირველ რიგში, ვიყავი სახელი და გვარი და მერე თანამდებობა. ასეა დღემდე.

### ირმა კილასონია -71-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე

საქართველოში ბევრი რამ არ მომწონს. რაიონებში - თემქაზე, მუხიანში... ქალაქის ცენტრში პარკებია და განათება. გლდანში კი არაფერია.

სახელმძღვანელოები ძალიან ძვირია. ზოგიერთს სწავლის სურვილი აქვს, მაგრამ წიგნის შესაძენად ფული -არა. უმეტესობას სწავლის სურვილი ეკარგება და ამის მიზეზი ესეც არის.

მაღაზიებში იყიდება დანები-"ბაბოჩკები". ეს დანები არ უნდა მიჰყიდონ არასრულწლოვნებს და საერთოდაც არ უნდა იყიდებოდეს-რამდენი ბიჭი გამხდარა ამ დანების მსხვერპლი? არავის არ უნდა, ვინმე მოკლას, მაგრამ ეს შემთხვევით ხდება.

კიდევ ძალიან ბევრი რამ, მაგრამ ფურცელზეც რომ ვერ დავწერ ისეთია.

### ვანო გენებაშვილი - 46-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე.

საქართველოში ძალიან ბევრი ნარკომანია, საფრთხე ემუქრება ახალგაზრდობას და მოზარდებს. ბევრი მათგანი უკვე ჩაეფლო ამ მორევში, რომლიდანაც ამოსვლა ძალიან ძნელია და უამრავი უბედურება მოაქვს. მოზარდები საკმაოდ ადვილად შოულობენ "პლანს" და შემდეგ მიდის და მიდის. ზოგიერთს ამ მცენარის ყანებიც აქვს. ჩემი აზრით, სახელმწიფო უფრო მეტი ძალით უნდა ებრძოლოს ნარკომანიას და დახმარების ხელი გაუწოდოს მათ, ვისაც ამ სენისგან თავის დაღწევა სურს.

როცა "პლანის" ყანებს აღმოაჩენენ, სამართალდამცავებს ვთხოვ, ნუ დაწვავთ, რომ სხვასაც არ მივაყენოთ ზიანი. სხვა ფორმით გაანადგურეთ!

### თიკო ჩხაიძე, 46-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე

ისედაც დანგრეულ ტროტუარებზე დისპეტჩერები მანქანებს აყენებინებენ მძღოლებს. სკოლაში რომ მივდივართ, ლაღიძის ქუჩა უნდა გავიაროთ. პოლიკლინიკის წინ, მოპირდაპირე მხარეს მანქანების სადგომია, ხალხი კი შუაგულ ქუჩაში დადის. თან იქვე მოსახვევია და ქვემოდან მომავალი მანქანები არ ჩანს. დისპეტჩერს ხალხი ხშირად ეჩხუბება - აქ მანქანებს ნუ აყენებო, მაგრამ ყოველდღე იგივე მეორდება. ქალაქს ავტოსადგომები სჭირდება, ან მანქანებისგან განტვირთვა. ფეხით მოსიარულის უფლებები ილახება და საფრთხის ქვეშ დგება.

### სოფო შარმანაშვილი 711-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე

საით მიდის დღევანდელი ახალგაზრდობა, რას მოგვიტანს მათი ასეთი საქციელი? უნდა ჩაუფიქრდეს დღევანდელი ხელისუფლება, თუ რამ აიძულა იგი, რომ ეს ნაბიჯი გადაედგა. ძალიან არ მომწონს, როდესაც დამნაშავე ახალგაზრდას რომელიც ჯერ კიდევ გამოუცდელია და არ უნახავს ცხოვრებაში არაფერი ისეთი, რომელიც შეცვლის მის ცხოვრებას, მაშინვე სასჯელს უსჯიან. იმას კი არ ფიქრობენ, რომ არასრულწლოვანს ციხეში ჯდომა არაფერს არგებს. იგი ციხეში მისაბაძ მაგალითს ვერავისგან დაინახავს, არ შეიძლება დამნაშავეს, რომელიც არასწორ გზას დაადგა არ ათქმევინო მისი საქციელის მიზეზი. მიზეზი ხომ ყველას და ყველაფერს მოეძებნება. არ შეიძლება ქვეყანაში ამდენი დაუსაქმებელი ადამიანის ცხოვრება, მათ შემხედვარეს ახალგაზრდობას ყველანაირი იმედი უცრუვდება და იძულებული ხდება, დანაშაული ჩაიდინოს. დღევანდელ ახალგაზრდობას იმედია, რაღაც იმედს ჩაუსახავს დღევანდელი მთავრობა და მიანიშნებს, რომ ცხოვრებას ქურდობაზე და ტყუილზე ვერავინ ვერ ააწყობს. ჩემი აზრით, უნდა გაიხსნას ისეთი სასწავლებელი, სადაც ისწავლის ყველა გზას აცდენილი ბავშვი და მიახვედრებენ და გამოასწორებენ თავიანთ დანაშაულს.

**დაგვირეკეთ 20 24 24.**
**მოგვწერეთ: თბილისი, ვაჟა ფშაველას 45.**
***ელ. ფოსტა:***
**dkuprava @ 24 hours.ge.**


კავკასიის ბიზნესის სკოლა
Caucasus School of Business

GRENOBLE ECOLE DE MANAGEMENT Graduate School of Business

დღეს საქართველოში განათლების ხარისხს უკვე აფასებენ... კიდევ უფრო დაფასებულია ხარისხიანი განათლების მქონე ადამიანი... ისეთ განათლებას კი სანატრელს სასურველად რომ გადააქცევს და მერე ქმედებაშიც გადაიტანს, ყველა ეძებს და... აუცილებლად იპოვის გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლისა (საფრანგეთი) და კავკასიის ბიზნესის სკოლის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სახით, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაციის მოძიება 1 ოქტობმერს, 14 საათზე, ღია კარის დღეზე უშუალოდ გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლის დეკანის ქ-ნი ჯუდი ბოვარდისაგან შეგეძლებათ. მანამდე კი სასურველია იცოდეთ რომ თუ კი თქვენ:

1. ფლობთ ინგლისურ ენას და მზად ხართ ინტენსიური აკადემიური მუშაობისათვის
2. ხართ ენერგიული, მოტივირებული და მიზანმიმართული ადამიანი
3. გაქვთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ან საკუთარ ბიზნესში წარმატების მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება
4. გსურთ მიიღოთ საუკთესო განათლება ბიზნესის სფეროში
5. უმოკლეს დროში მიიღოთ ორი საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე მაგისტრის დიპლომი ბიზნესის ადმინისტრირებაში და ესYყველაფერი ისე, რომ
6. არ მოსცილდეთ თქვენს ამჟამინდელ საქმიანობას - მაშინ ახალი სამაგისტრო პროგრამა ზუსტად ის არის, რასაც ეძებდით!

**შედეგი?**

1. მაღალი პოტენციალის მქონე მმართველების რეგიონალური და საერთაშორისო ბიზნესის ლიდერებად ჩამოყალიბება;
2. ერთი წლის მანძილზე თორმეტი ექვს დღიანი საგნობრივი სასწავლო მოდული;
3. ორკვირიანი რეზიდენტურა ევროპის გაერთიანების წიაღში;
4. სამენეჯერო ტექნოლოგიებისა და უნარ-ჩვევების ათვისება, რომელიც თქვენი კარიერის გრძელვადიანი პროგრესის გარანტიაა;
5. ორი დიპლომი - I. სტანდარტული მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში (MBA) გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლისაგან და II. საერთაშორისო მაგისტრის ხარისხი მმართველთათვის (International Executive MBA) კავკასიის ბიზნესის სკოლისაგან.

**გავაგრძელოთ?**
www.dual.mba.csb.ge; E-mail:dualmba@csb.ge;
საკონტაქტო ტელ.: (877)55.22.77






## გაზეთი "წიგნები" ახალ, 6-ე ნომერში გთავაზობთ

**პოლემიკა**

მაია ნინიძის საპასუხო წერილი გაზეთ "წიგნების" 6-ე ნომერში გამოქვეყნებული გიორგი კაკაბაძის სტატიაზე "ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ"

**პროზა**

ნიკუშა ანთაძის მოთხრობა

**პოეზია**

ანდრო ბუაჩიძის, ზაზა თვარაძისა და გივი ალხაზიშვილის ლექსები

**ინტერვიუ**

"ჩვენ ქსელის ლუთერი გვჭირდება" - ინტერვიუ უმბერტო ეკოსთან

**რეცენზია**

ბათუ დანელია, "მთვარის დღესასწაული", ბექა ქურხული, "სახლი სხვაგან", ჯანი როდარი, "იყო და არა იყო რა, იყო ორჯერ ბარონი ლამბერტო"

# ლაშა და არქიტექტურა

**ლაშა ბუღაძე:** დღეს სტუმრები არიან ქალბატონი ქეთევან იგნატოვა - პუბლიცისტი, რომელმაც სწორედ იმ თემაზე, რაზეც დღეს ვისაუბრებთ, ბევრი სტატია გამოაქვეყნა გაზეთ "24 საათში", და არქიტექტორი ბექა ქარსიძე, სულ ახლო წარსულში ქალაქის მერიის "ჩინოვნიკი". დღეს ვისაუბრებთ ქალაქის ზედაპირზე; ილებება ფასადები, იგება ასფალტი, ამიტომ გადაცემაში უფრო ქალაქის იერსახით შემოვიფარგლებით. ნაწილობრივ თბილისის მერიის აქტუალურ გადაწყვეტილებებსაც შევეხებით. ახლახანს ავლაბარში გაიხსნა შადრევანი. ესეც მერიის ინიციატივაა. გახსნაზე პრეზიდენტიც ბრძანდებოდა. პირადად გამიჩნდა განცდა - ზედმეტი ხომ არ არის, როდესაც პრეზიდენტი ასეთ ღონისძიებებს ესწრება? და რამდენად საჭიროა, პრეზიდენტი მივიდეს შადრევანის გახსნაზე?

**ქეთევან იგნატოვა:** მე მგონი, არა. იმიტომ, რომ უკვე რაღაც იხსნება, ჩვენთვის იმდენად უჩვეულოა, რომ ამ შემთხვევაში ვიზიარებ პრეზიდენტის დადებით ემოციას, რომ რაღაც ილებება, შენდება, ნათდება. ამგვარ პოზიტიურზე მაღალი რანგის ხელსიფალთა დასწრება არ მაღიზიანებს. ამაში სიმბოლურ დატვირთვასაც ვხედავ. არ ვიცი, ვინ არის ამ შადრევანის ავტორი, მაგრამ ის, რაც ტელევიზიით ვნახე, არ მომეწონა. არ ვიცი, როდესაც უფრო ახლოდან ვნახავ, ძალიან მინდა, რომ აზრი შემეცვალოს.

**ბექა ქარსიძე:** ნაკლებად დავეთანხმები ქალბატონი ქეთევანის აზრს. რა თქმა უნდა, როდესაც რაღაც კეთდება, ეს კარგია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სხვა შადრევანს, მაგალითად "ამბასადორის" წინ რომ გაიხსნა, ასეთი რეზონანსი არ ჰქონია. ჩემთვის ცოტა გაუგებარია, რატომ მაინცადამაინც შადრევანი? არქიტექტურულად, ქალაქმშენებლობით თვალსაზრისით შესაძლებელი იყო ამ მოედნის მოწესრიგება. იგივე აზრი გაუჩნდათ გერმანელ სტუმრებს, რომელთაც ჩემთან ერთად ნახეს ეს შადრევანი.

**ლაშა ბუღაძე:** შადრევნის გახსნაზე ბიძინა ბრეგაძე იდგა პრეზიდენტის გვერდით. ახლოვდება მაჟორიტარული არჩევნები. ხომ არ მიესადაგა ერთმანეთს ეს ორი თემა?

**ქეთევან იგნატოვა:** ცოტა ნერვებს მიშლის ფაქტების კონკრეტულ "ჩინოვნიკებთან" გაიგივება. რა მნიშვნელობა აქვს, ბიძინა ბრეგაძეს უკავშირდება შადრევნის გახსნა თუ სხვას? შადრევანი დარჩება, იქნება ყოველთვის, დღეს გაკეთდა საშუალო დონისა და გემოვნების შადრევანი, მომავალი თაობა უკეთესს გააკეთებს და ბრეგაძე, ძალიან კარგია, თუ ისეთ რამეებს გააკეთებს, რომ დაამახსოვრდეთ. რატომ გვინდა, ყველაფრის უკან ვიპოვოთ ვიღაცის არაგულწრფელი ჩანაფიქრი, წინასაარჩევნოდ მოფიქრებული საქმე!? ბათუმში შადრევანიც გააკეთეს, ბულვარიც, ბათუმის გარეუბანში ზღვას უყურებდნენ და ვერ გადიოდნენ, მათ გაუკეთეს სანაპირო. რა მნიშვნელობა აქვს ვარშალომიძემ გაუკეთა თუ სხვამ? მიკვირს, რომ ახსენეთ "ამბასადორი". მიმაჩნია, რომ მის წინ გახსნილი შადრევანი კი არა, ეს სასტუმრო უნდა ყოფილიყო განსაკუთრებულად აღნიშნული. იმიტომ, რომ არის უკანონო მშენებლობის, ეკლექტიკის, ნორმებისა და კანონების დარღვევა. თანაც ანჩისხატის გვერდით.

**ბექა ქარსიძე:** გეთანხმებით, რაღაცის გაკეთება ყოველთვის არეალთან სრულ კომპლექსში უნდა ხდებოდეს.

**ლაშა ბუღაძე:** თავისთავად კარგია, როდესაც საქმე კეთდება, მაგრამ როდესაც პრეზიდენტი გვერდით უდგას ერთ კონკრეტულ კანდიდატს, რომელსაც ამ შემთხვევაში არ აქვს პირდაპირი ფუნქციები და ვალდებულებები, რადგან არჩევნები ჯერ კიდევ არ შემდგარა, ხომ არ არის ეს არაეთიკური სხვა კანდიდატებთან მიმართებაში?

**მსმენელი:** ყოველი დაკანონებული უსამართლობა უზნეობაა. მინდა შევეხო თბილისში ბორდელების თემას. სისხის სამართლის კოდექსისი თანახმად, ბორდელების მოწყობა ისჯება ფულადი ჯარიმით ან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. მაფიოზური კლანი რომ იქმნება, საფრთხე ექმნება როგორც აღმასრულებელ სტრუქტურას, ისე ყველას. რატომ არ გვარდება პრობლემა?

**ლაშა ბუღაძე:** მსმენელმა კარგად განსაზღვრა - ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ, თითქოს ვერ ხედავ. იყურები ნარიყალადან და ვერ ხედავ "პოსეიდონს".

**ქეთევან იგნატოვა:** "პოსეიდონის" არდანახვა შეუძლებელია, მისი აშენება არქიტექტურული ვანდალიზმი იყო. ამ შენობის დანგრევას ზუსტად ისე ველოდები, როგორც ავლაბარში, მეტროსთან იმ კორპუსის დანგრევას. "პოსეიდონზე" და მის ფუნქციაზე არ არის საქმე, ამაზე ვერ ვისაუბრებ, სრულიად არაკომპეტენტური ვარ. მაგრამ აბანოთუბანში ასეთი ნაგებობა, უნდა შეძლოს სახელმწიფომ და ყველა მისი კანონიერი დოკუმენტების მიუხედავად, უნდა დაანგრიოს. არსებობს კანონიერი უკანონობა. ისეთ აბსურდულ ქვეყანაში ვცხოვრობდით, ძალიან ბევრი ისეთი ობიექტი შეიძლება ჩამოითვალოს, რომლებიც სრულიად კანონის დაცვით აშენდა, მაგრამ ამავე დროს კლასიკური კანონდარღვევის ნიმუშია. როგორც ძალიან ბევრ რამეში იყო თამამი სახელმწიფო, რაც ამ ორ წელიწადში დავინახეთ, აქაც ის სითამამეა გამოსაჩენი.

**ბექა ქარსიძე:** არ ვფიქრობ, რომ სახელმწიფო აქტიურად უნდა ერეოდეს ასეთ გადაწყვეტილებებში. გვახსოვს მიწის გაცემასთან დაკავშირებით რამხელა წინააღმდეგობა იყო მესაკუთრეებისგან, რომელთაც ეგონათ, რომ კანონიერად ჰქონდათ შესყიდული. ასეთი ქმედებები დემოკრატიას ზიანს მიაყენებს. ამიტომ გამოსავალია, შორსმჭვრეტელობა, გადაწყვეტილების მიღებამდე. დღეს საქალაქო სამსახური გადაიქცა მეორეხარისხოვან უწყებად.

**ლაშა ბუღაძე:** ანუ, შეიძლება ხელისუფლების გვერდის ავლით აშენდეს და გაკეთდეს? თუ ხელისუფლება ხუჭავს თვალებს ასეთ უკანონობაზე?

**ბექა ქარსიძე:** ჩემთვის ეს გაუგებარი პრაგმატიზმია. ვილნიუსში დაახლოებით იგივე პრობლემებია. ანუ, პოსტსაბჭოთა ქვეყნები, სადაც იწყებენ მშენებლობას, ეს გაათმაგებული ტემპებით ხდება. ინვესტორი ვერ იგებს, რომ კარგ პროექტს ორჯერ მეტი დრო სჭირდება, ვიდრე მშენებლობას. ეს არის ჩვენი ძირითადი პრობლემა.

**ლაშა ბუღაძე:** ახლახანს თბილისში ჩამოიშალა საცხოვრებელი შენობა და მგონია, რომ ამაზე არ არის საკმარისი რეაგირება. სინამდვილეში სერიოზული პრობლემაა. ფაქტი არ ყოფილა, რომ მიწისძვრით დაზარალებულებს, ან დაქცეულ ბინებს რაღაცნაირად შეშველებოდეს ხელისუფლება.

**ქეთევან იგნატოვა:** სახლი რომ ჩამოიშალა, ნამდვილი ტრაგედია იყო. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ მართლაც ძალიან გვეჩქარება, ძალიან ბევრი გვაქვს ასაშენებელი. ქალაქის ნაწილი, ცენტრი ის ადგილია, სადაც მეტი სიფრთხილე გვმართებს. რატომ უნდა დააკმაყოფილო ერთი სახლი და არა ყველა? ყველგან ადამიანები ცხოვრობენ. იმედი მაქვს, - ეს ტრაგედია სერიოზული ნიშანი იყო. სიყვარულით და სიფრთხილით უნდა აშენონ. რატომ ვერ უნდა დავანგრიოთ მეტრო "რუსთაველთან" შუშის სახლი? იმიტომ, რომ მას ჰყავს ერთი კონკრეტული მფლობელი? რატომ არ უნდა დაინგრეს ვაკეში, სახანძროს წინ შუშის გაუგებარი ლურჯი ნაგებობა? დიდი ქრთამის სიმბოლო.

**ლაშა ბუღაძე:** როგორ შეიძლება გადაისინჯოს ისეთ მშენებლობებზე გაცემული უფლებები, რომელიც ოდესღაც გასცა თბილისის მერიამ?

**ბექა ქარსიძე:** ვერანაირად ვერ გადაისინჯება. უმეტესად საქმე გვაქვს კერძო საკუთრებასთან. მარტო ჭავჭავაძის გამზირი კი არა, დაახლოებით 200 კვ მ. თბილისის ტროტუარების გაყიდულია; რუსთაველის სხვენი კი არა, ჰაერია გაყიდული. ეს არის 1998 წლიდან 2002 წლამდე პერიოდში, როდესაც დაიწყო აუქციონები. დოკუმენტაცია სრულყოფილია. მოდით დავაყენოთ იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხით, ვინც ეს მიწა გაასხვისა. როდესაც ბევრ ადამიანს პასუხი არ მოეთხოვა, ძნელი იქნება ამ პრობლემის დაძლევა. საერთოდ არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა რაც მშენებლობას მოიცავს, ანუ გარკვეული უბნების რეაბილიტაცია და პირველ რიგში ძველი თბილისის, ისტორიული ზონა. რა თქმა უნდა, ყველა მაცხოვრებელს ერთდროულად ვერ დააკამყოფილებ. სახელმწიფო პოლიტიკა მშენებლობის მიმართულებაში უნდა იყოს მიმართული არა ცარიელი ტერიტორიების ათვისებაზე, არამედ ამორტიზირებული, ნგრევის პირას მისული სახლების რეაბილიტაციაზე. ეს არის ერთადერთი გამოსავალი, რომ თბილისმა მიიღოს სრულყოფილი სახე.

**ლაშა ბუღაძე:** ახსენეთ, რომ უნდა დაისვას იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც უკანონოდ გასცა ნებართვები. თუკი ხელისუფლება ამის ნებას არ იჩენს და საზოგადოებასაც არ გააჩნია შესაბამისი ბერკეტი, რომ თქვას: აი, ეს არ ვარგა ჩემს ქალაქში. მაშინ რა გზა დარჩა?

**ბექა ქარსიძე:** ჩემი აზრით, საზოგადოება მზად არ არის და უახლოეს მომავალში არ იქნება მზად აქტიურად ჩაებას მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებში. უახლოეს მომავალში ვაკის პარკში დაიწყება უკრაინის საელჩოს მშენებლობა და გაიჩეხება 300 ძირი უნიკალური ჯიშის ხე. რამდენი ადამიანი გამოხატავს ამასთან დაკავშირებით გულისტკივილს?

**ლაშა ბუღაძე:** რამდენად მოახდენს საზოგადოების პროტესტი ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას?

**ქეთევან იგნატოვა:** არ არსებობს დიდი და პატარა პრობლემა, როდესაც საქმე ქალაქს ეხება. ზუსტად ამ მცირე პრობლემებმა გამოიწვია ის, რომ მთელი ქალაქი არის დაშენებულ-მიშენებული. ჩემთვის სულერთია, ჩემ ქალაქს უკრაინის საელჩო დაამახინჯებს თუ სხვათა შორის, არქიტექტორი, რომელიც ვაკის პარკის წინ კორპუსზე აშენებს საქათმეს იმიტომ, რომ უნდა გაფართოება. და ეს ადამიანი არის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის პედაგოგი. დღეს მიდის მშენებლობა, ხედავ რომ აბსურდია. სიურეალისტური მშენებლობაა. საზოგადოება ნამდვილად არ დუმს. საზოგადოებამ სითამამით უნდა მოახდინოს ამ პროცესზე ზეგავლენა.

**ბექა ქარსიძე:** ჩემი აზრით, საზოგადოება უნდა მოემზადოს მომავლისთვის, რომ გამოხატოს თავისი გულისწყრომა.

**ლაშა ბუღაძე:** ანუ, იმას, რაც არის, აღარაფერი აღარ ეშველება?

**ბექა ქარსიძე:** მე არ ვიცი. ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ ისეთ ქვეყანაში, სადაც კანონს ძალა აქვს. სახელმწიფომ, მმართველმა აპარატმა ეს კანონი არ უნდა დაარღვიოს. რაც ამ ქალაქში დავინახე, საზარელი სურათი იყო. რაღაც სისტემა შევიმუშაოთ, რაც კატასტროფულ შედეგებს აგვარიდებს.

**ქეთევან იგნატოვა:** ორი მაგალითი მოვიყვანე იმის, რაც ახლა კეთდება, ამ წუთას იდება პირველი აგური. კი, ნებართვა ერთი წლის წინათ არის გაცემული, მაგრამ ეს ხელისუფლება ხედავს რა მშენებლობაა. ანუ, არ უნდა ავაშენებინო.

**ლაშა ბუღაძე:** საზოგადოებამ საიდან უნდა იცოდეს მერიის რომელიღაც კაბინეტში რა ნებართვა გაიცემა? ანუ, "პოსტ ფაქტუმ" პროტესტს აზრი არა აქვს.

**ბექა ქარსიძე:** როგორ არა აქვს. საზოგადოებას ატყობინებენ ხოლმე, სადაც მშენებლობა უნდა დაიწყოს, იქ გამოკრულია პროექტი.

**ქეთევან იგნატოვა:** როგორც ვიცით, იწყება სასტუმრო "ივერიის" მშენებლობა. რა ვიცით საზოგადოებამ ამ მშენებლობის შესახებ? ვერ ვხვდები, რატომ არის საჭირო დანიელის მოწვევა, როდესაც ბევრი კარგი ქართველი არქიტექტორი არსებობს. ყოფილიყო ღია, მასშტაბური კონკურსი. დაინგრა შევარდნაძის ეპოქის მთავარი სიმბოლო - მე ასე მიმაჩნია. ასევე სიმბოლურად რაღაც ახალი შენდება ქალაქის ცენტრის ცენტრში. არაფერი ვიცით არც კონკურსის შესახებ: რა არ მოიწონეს, ვინ მოიწონა, ვინ დაიწუნა და რატომ? მე ვიგებ, რომ დანიელის პროექტი მოეწონათ კანცელარიაში. ვინ იწონებს კანცელარიაში?

**ლაშა ბუღაძე:** პრეზიდენტი. იგივე აეროპორტის ამბავი.

**ქეთევან იგნატოვა:** შეიძლება არ ვარ მართალი, ახალი აეროპორტი ზუსტად ვიცი, რომ უკეთესი იქნება, ვიდრე არის. მაგრამ, "ივერიას" რომ ცუდს ამიშენებენ, მერე რა ვქნათ?

**ბექა ქარსიძე:** აეროპორტის საკითხი კიდევ სხვა რამ არის. ბილეთზე კიდევ 30 დოლარი დასამატებელი გექნებათ, რომ ეს მშენებლობა დააფინანსოთ. ეს ცალკე საკითხია.

**ქეთევან იგნატოვა:** მე იმის თქმა მინდოდა, რომ "ივერია" ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიზუალური თვალსაზრისით, ვიდრე აეროპორტი. მიმაჩნია, რომ საზოგადოება მართლაც თამაშგარე მდგომარეობაშია. ამის საწინააღმდეგოდ არსებობს ერთი მეთოდი, რომელიც მთელ მსოფლიოში და იმედია, ოდესმე საქართველოშიც ამუშავდება. ეს არის ღია კონკურსების პრინციპი. გავაცნოთ საზოგადოებას, რას ვაშენებთ. მეორე პრობლემაც არის, გაუფასურებულია არქიტექტორის პროფესია.

**მსმენელი:** შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს საქართველოში უვიცები ცხოვრობენ. რატომ გვგონია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია აეროპორტის მშენებლობა. ყველაფერი შეგვიძლია, უბრალოდ არ გვენდობიან.

**ლაშა ბუღაძე:** ჩაშლილი ტენდერები და გაუმჭვირვალობა ბადებს ეჭვებს, რომ კერძო ინტერესებია.

**ქეთევან იგნატოვა:** მით უმეტეს, რომ საქართველოს არქიტექტურის დარგში ჰყავს სპეციალისტები. ძალიან დიდ ტრადიციებზე დამდგარი ქართული არქიტექტურული სკოლა არსებობს.

**ლაშა ბუღაძე:** მერიის გადაწყვეტილებით დავით აღმაშენებლის ძეგლი დიღომში გადააქვთ. როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

**ქეთევან იგნატოვა:** ძეგლის გარჩევისგან თავს შევიკავებ, მაგრამ მის გადატანას მივესალმები. მიმაჩნია, რომ აღმაშენებლის პიროვნულობას ნამდვილად არ განსაზღვრავს იდგება რესპუბლიკის მოედანზე, რომელიმე გზატკეცილზე თუ სად. ეს კონკრეტული ძეგლი მე უფრო მესიამოვნება ვიხილო სადმე სხვაგან.

**ბექა ქარსიძე:** საერთოდ ნონსენსია, როდესაც მონარქის ძეგლია რესპუბლიკის მოედანზე.

**ქეთევან იგნატოვა:** კარგი იქნება, ქართველებმა ნაკლები დავდგათ ცხენიანი ფიგურები.

**მსმენელი:** მინდა გკითხოთ, ქალაქის ისტორიული ნაწილის პერსპექტივას როგორ უყურებთ?

**ქეთევან იგნატოვა:** ძველი თბილისი ძალინ მძიმე მდგომარეობაშია. ამას გარდა, ვერ გეტყვით, რომ ყველა სახლი არქიტექტურულად ან ისტორიულად ღირებულია. უნდა მოხდეს ძალიან სწორი დიფერენციაცია, რომელია შესანარჩუნებელი, რომელი გასამაგრებელი, რომელი დასანგრევი. ანუ, საჭიროა ჯანმრთელი გადახედვა.

**ბექა ქარსიძე:** სამწუხაროდ, სახელმწიფოს სისტემა არ აქვს შემუშავებული, როგორ უნდა მიუდგეს ამ თემას. ზედაპირული მიდგომებით ამ უბნებს არ ეშველება.

**ლაშა ბუღაძე:** რეზიუმეს სახით: ერთი მხრივ, არ არსებობს ერთიანი კონცეფცია, მეორეს მხრივ საზოგადოება ინდიფერენტულია, თამაშგარე მდგომარეობაშია.

## ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის

## ცნობა

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის ამა წლის 22 სექტემბრის Nა/წ- ბრძანებით დანიშნულია და მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით საკითხის განხილვა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ს/ს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"-ს ტერიტორიაზე აეროპორტის ახალი ტერმინალის მშენებლობის პროექტის დასამუშავებლად ქალაქმშენებლობითი პირობების (არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება) გაცემასთან დაკავშირებით.

ზეპირი მოსმენის სხდომა დანიშნულია ამა წლის 17 ოქტომბერს 10 სთ-ზე.

დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ გამოცხადდეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N89/24, მე-2 სართული, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.

**საკონტაქტო ტელეფონი - 96 91 26 შიდა 105**
**96 91 21 შიდა 105**

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას 2005-06 სასწავლო წლისათვის ინგლისურენოვანი სამკურნალო ფაკულტეტის (ინგლისური სექტორი) მოსამზადებელ განყოფილებაზე

გასაუბრებაზე დაიშვებიან საშუალო და სპეციალური განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

განცხადებას, რომელიც ადგილზე შეივსება, თან უნდა დაერთოს:

1. საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი)
2. სამედიცინო ცნობა
3. ექვსი ფოტოსურათი (ზომა 3X4)
4. პასპორტის ქსეროასლი

პასპორტს წარმოადგენს პირადად.

გასაუბრება ჩატარდება ინგლისურ ენასა და ბიოლოგიაში 2005 წლის 17 ოქტომბერს.

განცხადების მიღება ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა), 1 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით, 12-დან 17 სთ-მდე სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, ოთახი 215.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 33.

მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლა დაიწყება 20 ოქტომბრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ თსსუ საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილებაში 1 ოქტომბრიდან.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 33.

ტელ: 39 18 79, ფაქსი: 94 25 19.

e-mail: iad@tsmu.edu

ნინია კაკაბაძის სვეტი

# ხელისუფლება და ინტელექტუალები



იმას, რასაც ამ სვეტში წაიკითხავთ, კავშირი არ აქვს ფრანგი ფილოსოფოსის, მიშელ ფუკოს იგივე დასახელების წიგნთან. "ხელისუფლება და ინტელექტუალები" ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწარმოებია, სადაც მათი ურთიერთგავლენის საკითხებია გაანალიზებული, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მოაზროვნის მიერ.

სვეტი, რომელსაც ახლა გაეცნობით, ქართულ სინამდვილეზე დაყრდნობით და პატარა დაკვირვებით იწერება. რასაკვირველია, ისევ გაჩნდა ახალი ტენდენციები, რასაც ხელისუფლების და ინტელექტუალების ურთიერთობა ჰქვია. ალბათ უფრო სწორი იქნება, თუკი ვიტყვით, - დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოსაზრება - ყველაზე დიდი სიბრძნე ხალხურ შემოქმედებაში დევსო, ალბათ სინამდვილესთან მაინც ის უფრო ახლოს დგას, რომ ადამიანები ხალხურ სიბრძნეზე, საკუთარ განათლებაზე და აზროვნების უნარზე დაყრდნობით ქმნიდნენ იმ მეცნიერულ თუ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომელმაც დღევანდელ დღემდე მოაღწია და დღესაც აქტუალურია.

ფეოდალურ ხანაში ინტელექტუალები და ალბათ იმ დროისთვის უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუკი ვიხმართ ტერმინს - მოაზროვნეები, მაინც მეფის კართან დაახლოებული ადამიანები იყვნენ. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო, განათლებას გლეხი ვერ იღებდა, მას ძირითადად მიწასთან მუშაობა უწევდა. საყოველთაო თანასწორობის ეპოქაში, ანუ მას შემდეგ, რაც მსოფლიოში ბატონყმური რეჟიმი, ასე ვთქვათ, უქმდება და ადამიანები ფიგურალურად მაინც, ერთ საფეხურზე დგებიან, სოციალისტურ სამყაროში ჩნდება ახალი ტერმინი ინტელიგენცია, რომლის დაბადებაც, სხვათა შორის, სტალინის სახელთან არის დაკავშირებული. ამ საკითხზე ერთ-ერთ ჩემს პუბლიკაციაში გვისაუბრია, ამიტომ ჩვენს მთავარ თემას დავუბრუნდებით.

ფაქტია, რომ კონკრეტულად საქართველოში ინტელიგენციის აღზევება შევარდნაძის ხანას უკავშირდება, რომელსაც შემდეგ ზვიად გამსახურდიამ წითელი ინტელიგენცია უწოდა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა არა მაშინდელი ინტელიგენციის ცხოვრების წესი და დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, არამედ პირიქით. ხელოვანი ხალხის მეშვეობით მაშინდელი მთავრობა ერთგვარ "ვუალს" იკეთებდა, რის შედეგადაც საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილზე ახდენდა ზემოქმედებას. თუმცა კომუნისტურ ეპოქაში დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მოგწონდა თუ არა ესა თუ ის პოლიტიკოსი, რაიკომის თუ ცეკას მდივანი. ის მაინც იყო და მის სავარძელს არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა. მაგრამ ინტელიგენიცასთან ერთად, მათი სახელით გაკეთებული საქმეები მას არა რიგით კომუნისტად აქცევდა, არამედ ღირსშესანიშნავ ადამიანად, რომელიც არა მხოლოდ მაღალ კომუნისტურ იდეალებს, არამედ მაღალ ხელოვნებასაც ემსახურებოდა. ეს ერთგვარი ქართული სნობიზმის მაჩვენებელია, რომელსაც უყვარს საქმე პრესტიჟთან ერთად. მთავრობაში მოხვედრილი უბირი ადამიანი, "მაღალ საზოგადოებაში" ინტეგრირებას ამ გზით, ინტელიგენციასთან დაახლოების გზით ცდილობდა. ამიტომ სნობიზმის არხებში ღრმად შესული პოლიტმუშაკი, ხანდახან დისიდენტურ ნაბიჯებსაც კი დგამდა. ერთი სიტყვით, 90-იან წლებში ჩვენ უკვე შევარდნაძეების და ინტელიგენტების ისეთი სინთეზი მივიღეთ, რომელთა ერთმანეთისგან გარჩევა უკვე წარმოუდგენელიც იყო.

დღეისათვის ითვლება, რომ დაიწყო ახალი ეპოქა; შევარდნაძესთან ერთად, თითქოს საბოლოოდ დასრულდა კომუნისტური ხანა მისი იდეოლოგიით და დაიწყო ახალი დროება. გარედან დანახული თვალით, თითქოს ასეა - დღეს ხელისუფლება და საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი მკვეთრად გამიჯნულია ერთმანეთისგან. რასაკვირველია, არ უნდა ჩავთვალოთ ის ხელოვანები, რომელთაც უშუალოდ სახელმწიფოს სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე უწევთ მუშაობა.

რა სურვილი აქვს ხელისუფლებას? ხელისუფლება რასაკვირველია, კომუნისტი ჩინოვნიკების მსგავსად ყველასგან ერთგულებას მოითხოვს და განსაკუთრებით ბედნიერია მაშინ, როდესაც მის უფლებებს იცავ. მოაზროვნე საზოგადოება კი იმ ადამიანთა შტოს გაგრძელებაა, რომელნიც კომუნისტების დროს ჩუმად ყოფნას და თუნდაც იატაკქვეშეთში ჩუმად საქმიანობას ცდილობდნენ, დღეს კი საჯაროდ განსხვავებული დამოკიდებულების დაფიქსირებას არ ერიდებიან. პოლიტიკური ისტებლიშმენტი პრეზიდენტის თაოსნობით, გასული ხელისუფლებისგან განსხვავებით, საბედნიეროდ არ ცდილობს მათ მოსყიდვას და ისეთებს იღებს, როგორნიც არიან. მაგრამ რას აკეთებს სანაცვლოდ? მაგალითად, პრეზიდენტი თავის იდეოლოგიურ მტრებს მედიის საშუალებით უმკლავდება და მათი რეპუტაციის დაგდებას ცდილობს. მისი წარმოდგენით ხალხის ნდობის მანდატი მთლიანად მის ხელშია და მას აქვს მათი აზრის მანიპულირების უნარი. აქედან გამომდინარე, ის არასდროს ტოვებს "მოწინააღმდეგის" რეპლიკას უკომენტაროდ და ეს ძირითადად სწორედ მოაზროვნე ოპონენტების მისამართით არის წარმოთქმული - უღირსები, სულელები, უსინდისოები და ა.შ. თუკი შევარდნაძე ოპონენტებს ცეკას მაღაზიის ტალონებით უმკლავდებოდა, სააკაშვილი მათგან მტრის ხატს ქმნის. თითქოს ორივე შემთხვევაში მათი ურთიერთობა თანასწორობის ჩარჩოში ზის, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალური თანასწორობისგან ორივე ხელისუფალი შორსაა და ვერც ერთი მათგანი ვერ იჩენს გულგრილობას ინტელექტუალების მიმართ. ერთი ყიდულობს, მეორე ებრძვის, ებრძვის დაახლოებით იგივე მეთოდებით, როგორც იბრძოდა მათი წინამორბედი გამსახურდია.

ამიტომ დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულება მოაზროვნეების თუ ხელოვანების მიმართ ამბივალენტურია - კარგია, რომ კომუნისტების მეთოდებს არ ვიმეორებთ და ცუდია, რომ იმის მეთოდს მივდევთ, ვინც ტრაგიკულად დაასრულა თავისი პოლიტიკური რბოლა. სამწუხაროა, რომ ცივილიზებული ურთიერთობებისგან ჩვენი ქვეყანა, ხელისუფლება თუ საზოგადოება შორს არის. კრიტიკის მთავარი ობიექტი ვერ ახერხებს ადეკვატურად მიიღოს განსხვავებული აზრი და საკუთარი სიმართლე დამაჯერებლად დაასაბუთოს. ეს ახალი ტენდენცია, რომელიც ყოველდღიურად მძაფრდება, ჯერ გაურკვეველია, რა შედეგამდე მიიყვანს ქვეყანას, ვინაიდან საზოგადოების ორივე ამ ნაწილს - ხელისუფლებას და ინტელექტუალებს - დიდი გავლენა აქვთ ხალხზე, ხალხი კი ნებისმიერ ნაბიჯს დგამს მის საკეთილდღეოდ.


## I.G.E.P.P. - ITALY GEORGIA ECONOMIC PARTNERSHIP PROGRAMME

**პროექტი ხორციელდება იტალიის სამრეწველო საქმიანობის სამინისტროს თანადაფინანსებით**

**ქართულ და იტალიურ კომპანიებს შორის ბიზნეს თანამშრომლობის ხელშეწყობა**

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია და ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში იტალიის სამრეწველო საქმიანობის სამინისტროსა, ექსენ ს.პ.ა. და კაზერტას პროვინციის მრეწველთა კავშირის მხარდაჭერით ახორციელებენ იტალია-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამას (ი.გ.ე.პ.პ.).

პროგრამის მიზანია ორ ქვეყანას შორის ბიზნეს ურთიერთობების ხელშეწყობა საქართველოში იტალიური ინვესტიციების მოზიდვისა და ორმხრივი სავაჭრო თანამშრომლობის განვითარების გზით. პროგრამის ფარგლებში, ქართულ კომპანიებს ეძლევათ საშუალება წარმოადგინონ საკუთარი ბიზნეს წინადადებები იტალიელი პარტნიორების მოძიების მიზნით.

ბიზნეს წინადადებების წარსადგენად საჭიროა სათანადო ფორმის შევსება, რომლის მიღება შეიძლება პროექტის ვებ გვერდზე www.igepp.com ან ოფისში შემდეგ მისამართზე:

გერგეთის ქ. 3, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია.

ოფისი მუშაობს 10-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

შევსებული ფორმები მიიღება 2005 წლის 1 ოქტომბრამდე.

EXEN

Unione degli Industriali della Provincia di Caserta

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია Federation of Georgian Businessmen

AMCHAM

კრივი

# მეორე ნოკდაუნს იუბილე ემსხვერპლა

*მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი ჰქონდა გერმანიაში ვინ მომაგებინებსო, გამარჯვება მაინც მას დარჩა. თუმცა, გამარჯვებისთვის გასაღები წინდაწინვე ჰქონდა შერჩეული. საქმე ისაა, რომ გუშინ გერმანელები ლეგენდარული გერმანელი მოკრივის მაქს შმელინგის ასწლოვან იუბილეს აღნიშნავდნენ. იუბილე კი, რა თქმა უნდა, დიდი კრივით იყო გაჯერებული, ამასთან საჩემპიონო ორთაბრძოლით.*
*ერთი სიტყვით, ჰამბურგში WBO-ს (ორგანიზაციის) მსოფლიო ჩემპიონის ქამრისთვის რინგის ერთ მხარეს ამერიკელი ლემონ ბრიუსტერი იდგა, რომელსაც ტიტული ჰქონდა დასაცავი, მეორე მხარეს - ალბანური წარმოშობის გერმანიის მოქალაქე ლუან კრასნიკი.*

ბიჭა ბურასაშვილი

აქვე ვთქვათ, ბრიუსტერმა ორგანიზაციის საჩემპიონო სარტყელი მესამედ დაიცვა და გერმანელებს იუბილეც ჩაუშხამა. არადა, კრასნიკს დიდი მისია ჰქონდა დაკისრებული: 75-წლიანი ინტერვალის შემდეგ გერმანიაში დაებრუნებინა მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. 75 წლის წინ კი ასეთი ტიტულის მატარებელი სწორედ მაქს შმელინგი გახლდათ, რომელიც წლეულს თებერვალში გარდაიცვალა.

"არ მინდა, რომ შმელინგს შემადარონ, მაგრამ მართლა ზალიან მინდა, რომ მისი გზით ვიარო და მსოფლიო ჩემპიონი გავხდე", - ორთაბრძოლამდე აცხადებდა ლუან კრასნიკი.

ერთი სიტყვით, ჩამოთვლილი ფაქტორებისა თუ მიზეზების გამო ბრიუსტერი შიშობდა, რომ გერმანელთათვის ასეთ მნიშვნელოვან დღეს, უდიდესი გერმანელი მოკრივის იუბილეზე ამერიკელს მსაჯები დაჩაგრავდნენ და გამარჯვებულად გაგერმანელებულ კრასნიკს გამოაცხადებდნენ. ჰოდა, ბრიუსტერსაც ისღა დარჩენოდა ტაქტიკად ორთაბრძოლის დროზე ადრე - ნოკაუტით დასრულება დაესახა მიზნად, რათა გონგის ხმის შემდეგ პრეტენდენტის მასზე მეტი ქულა არ აღმოჩენოდა.

საწყისი რაუნდიდანვე ინიციატივა მასპინძელმა იგდო ხელთ, მაგრამ ჩემპიონის რინგზე გაშხლართვას ვერა და ვერ ახერხებდა. პრეტენდენტის ტაქტიკას (შორი მანძილიდან უტევდა) შედეგი მანამ მოჰქონდა სანამ ჩხუბის მანერა არ შეცვალა. ეს კი მეშვიდე რაუნდში მოხდა, როდესაც გათამამებულმა კრასნიკმა ტაქტიკად საშუალო მანძილი არჩია, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

მერვე რაუნდის ბოლოს პრეტენდენტმა ბრიუსტერის ძლიერი დარტყმა გაატარა და ნოკდაუნიც იგემა. რეფერიმ კრასნიკს დაშვებულზე მეტი დრო მისცა გონზე მოსასვლელად (რისიც ეშინოდა კიდეც ამერიკელს). აკი, გამოფხიზლებისა და ორთაბრძოლის განახლებისთანავე გონგის ხმაც გაისმა.

ბრიუსტერს ისღა დარჩენოდა იერიშზე გადასულიყო და ჩხუბი დროზე ადრე დაესრულებინა, მაგრამ მოხდა ისე, რომ კრასნიკმა ჩემპიონის შეტევებს გაუძლო. ბრიუსტერს ასეთმა თავგამოდებამ ძალ-ღონე ფაქტობრივად გამოაცალა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა - ვაბანკზე უნდა წასულიყო. ამერიკელმა კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალა და პრეტენდენტს მთელი რესურსებით შეუტია. მეტოქეს მარჯვენა ყბაში ზუსტად მოსცხო და მეორე ნოკდაუნიც აგემა.

ამ შემთხვევაში თავს ზემოთ ძალა არ იყო. რეფერის ორთაბრძოლა უნდა შეეწყვიტა და ბრიუსტერისთვის ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიეცა. ასეც მოხდა. ლემონ ბრიუსტერმა მესამედ დაიცვა ორგანიზაციის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

სხვათა შორის, ჩხუბის შეწყვეტის მომენტში ამერიკელი გერმანელთან სამივე მსაჯთა დათვლით ქულებით აგებდა.

ფეხბურთი

# დებიუტი



მადრიდის "რეალის" ფორვარდი რობერტ სოლდადო ნამდვილი გმირი გახდა "რეალი"-"ოლიმპიაკოსის" შეხვედრაში. მან სტუმრებს გადამწყვეტი გოლი გაუტანა და ეს მოვლენა აღნიშნა, თითქოს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაეტანოს გადამწყვეტი გოლი.

**- როგორ გრძნობს თავს ფინალის გმირი?**

- სიმართლე გითხრათ ზალიან მინდოდა ჩემპიონთა ლიგაში ჩემი დებიუტი შემდგარიყო. მწვრთნელმა მომცა ამის საშუალება და უაღრესად მოხარული ვარ ამ გოლის გამო.

**- თანაგუნდელებმა რა გითხრეს?**

- ყველამ მომილოცა და ყველანი ძალიან ბედნიერები იყვნენ.

**- შეგიძლია შენი დებიუტი კიდევ ერთხელ აღწერო?**

- როცა მეორე ტაიმის 10 წუთი მიილია, მწვრთნელმა მოთელვაზე გამიშვა. ლიონშიც ასე იყო, მაგრამ მაშინ მინდორზე არ შევედი, ამიტომ ამჯერადაც ეჭვი მეპარებოდა. თუმცა, როცა ჩენდომ პირით ხაზთან დამიძახა, ძალიან გამიხარდა. მე აბსოლუტურად არ ვღელავდი და სრულიად მშვიდი ვიყავი.

**- ლუშემბურგომ რა გითხრა?**

- მითხრა, რომ შეტევის წინა ხაზზე ვყოფილიყავი. აქტიურად მემოქმედა. დამევიწყებინა ჩემ გარშემო შექმნილი ატმოსფერო, რადგან აუცილებლად მომეცემოდა გოლის გატანის შანსი. მე ყოველთვის მიმართლებს, როცა "სანტიაგო ბერნაბეუზე" ვთამაშობ. ვიმედოვნებ, რომ ეს წარმატებული სერია შემდგომშიც გაგრძელდება.

**- გახსოვს გოლის შემდეგ რას აკეთებდი?**

- მე რობინიოსთან ერთად კუთხურის ალამთან მივირბინე. ყველანი გახარებულები ვიყავით. შემდეგ ბექჰემისკენ გავემართე და მადლობა მოვახსენე გადაცემისთვის, რომელიც უბრალოდ სრულყოფილი იყო.

**- იმ მომენტში გუნდის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად მიგაჩნდა თავი?**

- მინდორზე ერთ-ერთ მათგანად მივიჩნევდი თავს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გუნდმა კარგად მიმიღო.

**- რამდენი ხანია მადრიდის "რეალში" იმყოფები?**

- ეს ჩემი მეშვიდე სეზონია. მე მადრიდში ვალენსიადან 13 წლის ასაკში ჩამოვედი და თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ასეთი წუთები იმ გაჭირვების კომპენსაციას ახდენენ. მე ვოცნებობდი, დებიუტი მქონოდა ასეთ მატჩში. მე უაღრესად კმაყოფილი ვარ. ამ დღეს 13 წელი ველოდი.

**- როგორი მოგონება დაგრჩება დღევანდელ მატჩზე?**

- მე აუცილებლად დავიმახსოვრებ გასახდელში რაულისა და რონალდოს მილოცვას, რადგან ბავშვობიდან ვცდილობდი მათ დავმსგავსებოდი. ახლა დუბლშემადგენლობაში დავბრუნდები და მათთან ერთად გავაგრძელებ ვარჯიშს. მე ეს მომწონს. ვიცი, რომ დუბლში სათამაშო დრო მექნება და თუ გოლების გატანას გავაგრძელებ, მაშინ აუცილებლად დავიმსახურებ მწვრთნელის ყურადღებას. მე ვოცნებობ პირველ გუნდთან მივაღწიო წარმატებას.


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აცხადებს ღია ტენდერს "მინი-სტამბის" მოწყობილობის შეძენის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

"მინი-სტამბის" მოწყობილობის მონაცემები:

| დასახელება | განზომილება | რაოდენობა |
|---|---|---|
| I. ოფსეტური საბეჭდი მანქანა<br>- ბეჭდვის პრინციპი ოფსეტური<br>- მაქს. ფორმატი 360X500 მმ<br>- მინ. ფორმატი 331X48 მმ<br>- ქაღალდის სისქე 30-350 გრ/მ კვ<br>- მაქს. სიჩქარე 7500 ანაბეჭდი 1 საათში<br>- დანამვის სისტემა VARN ან სპირტის | ცალი | 1 |
| II. რიზოგრაფი<br>- ბეჭდვის პრინციპი ტრაფარეტული<br>- ინფორმაციის გადაცემის საშუალება ციფრული<br>- მაქსიმალური ფორმატი ბეჭდვის 3<br>- მინიმალური ფორმატი ბეჭდვის 56<br>- ბეჭდვის ინტენსიობა 600X600<br>- კომპიუტერთან მიერთების საშუალება ინტერფეისი | ცალი | 1 |
| III. ქაღალდის საჭრელი ნახევრად მექანიკური დაზგა<br>- ჭრის სისქე 4 სმ<br>- ჭრის სისქე 39 სმ<br>- ჭრის სიზუსტე 0.5 მმ<br>- საღეჯაში | ცალი | 1 |
| IV. თერმოაკინძვის ნახევრად ავტომატური დანადგარი<br>- აკინძვის ტიპი ცხელი თერმული<br>- აკინძვის სისქე 40 მმ მაქს.<br>- აკინძვის სისქე 2 მმ მინიმალური<br>- წარმადობა 100 წიგნი საათში | ცალი | 1 |
| V. ელექტრო მავთულმკვრავი<br>- აკინძვის ტიპი საშუთები გვერდის ზოლზე და გვერდიდან<br>- აკინძვის მაქსიმალური სისქე 165 კვ | ცალი | 1 |
| VI. ფურცელამკრეფი მანქანა<br>- ქაღალდის მაქსიმალური ფორმატი 13<br>- ქაღალდის სისქე 40X210 გრ/მ კვ<br>- თაბახთა რაოდენობა 10 ცალი<br>- ქაღალდის ჯვარედინად გატანის საშუალებით<br>- სრული პროგრამირება ყველა თაბახზე | ცალი | 1 |
| VII. როლიკური ლამინატორი<br>- ლამინირების ტიპი ცხელი<br>- მაქსიმალური სიგანე 35-36 სმ<br>- ფირების სისქე 25-300<br>ლამინირების სიჩქარე 6 მეტრი 1 წთ<br>- მიწოდება მაგალის ხელით | ცალი | 1 |

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოს 24-25 ოქტომბერს 10-დან 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი №52, მე-2 სართული, ოთახი №201, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ. 99-84-23.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ან ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ და საკონტაქტო მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს.

3.3. როგორც ფიზიკური, ისევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება.

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. სატენდერო დოკუმენტის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2005 წლის 28 ოქტომბერს 10 საათიდან 18 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი №52 მე-2 სართული ოთახი №201. ტელ. 99-84-23.

6. ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს "მინი-სტამბის" მოწყობილობის მიწოდება ქ. თბილისში ხელშეკრულების გაფორმების დღიდან მაქსიმუმ ორი კვირის განმავლობაში.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ზურაბ უკლება, როზა ხორავა მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №52, მე-2 სართული ოთახი №201. ტელ. 99-84-23, 99-65-80.



სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხარაგაულის რაიონის სოფ. წიფას სკოლის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხარაგაულის რაიონის წიფას საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **წიფას თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ხარაგაულის რაიონი, სოფელ წიფას სკოლის შენობა**

**საკონტაქტო პირი:გოჩა კვინიკაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 4 ოქტომბრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 900** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი, სოფელ წიფას სკოლის შენობა**

**საკონტაქტო პირი:გოჩა კვინიკაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 1 ნოემბერს 14:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



OSCE

## ეუთოს მისია საქართველოში აცხადებს ტენდერს ავტო-სარემონტო სახელოსნოს მომსახურების გამოყენებაზე

ეუთოს მისია საქართველოში იწვევს კვალიფიცირებულ კომპანიებს მონაწილეობის მისაღებად ტენდერში:

ავტო-სარემონტო სახელოსნოს მომსახურების გამოყენება

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს უნდა გაგაჩნდეთ სათანადო სახელმწიფო ლიცენზიები და დოკუმენტაცია.

დაინტერსებულმა კომპანიებმა უნდა მოითხოვონ სატენდერო მასალები და გაგზავნონ შემდეგი ინფორმაცია:

1. განაცხადი მონაწილეობის შესახებ (დაინტერესების წერილი). 2. კომპანიის მოკლე აღწერილობა.

ინგლისურ ენაზე, მისამართზე, Adolf.Turek@osce.org
ინფორმაციის მიღების ბოლო ვადა:
2005 წლის 3 ოქტომბერი, 18:00.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## პროექტი "ილია ჭავჭავაძე"
## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

აცხადებს კონკურსს
**შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში**
ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად

პროექტი ილია ჭავჭავაძე

**მათემატიკის ჯგუფის წევრი**

**ძირითადი მოვალეობები:**
- საგამოცდო პროგრამის მომზადება უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის;
- საგამოცდო კითხვათა და დავალებათა ბანკის მომზადება უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის;
- მონაწილეობის მიღება საგამოცდო კითხვათა და დავალებათა ბანკის აპრობაციებში, ანალიზსა და კორექტირებში;
- მონაწილეობის მიღება სააპელაციო კომისიის მუშაობაში;
- მონაწილეობის მიღება როგორც საინფორმაციო, ასევე ტესტურ კითხვათა ნიმუშების ბუკლეტების მომზადებაში;
- მონაწილეობის მიღება საზოგადოებასთან ურთიერთობის დაგეგმვასა და წარმართვაში.

**საკვალიფიკაცო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება (სასურველია სამეცნიერო ხარისხი);
- საგნის სწავლების მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება;
- საგნის სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
- კომპუტერთან მუშაობის ჩვევები.

**ანგარიშვალდებულება:**
ჯგუფის წევრი ანგარიშვალდებული იქნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მათემატიკის ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადი შემდეგ მისამართზე:
**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი**
თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N60, მე-2 სართული, ოთახი N1.
ტელეფონები: 95-26-66; 96-80-78.
საკონტაქტო პირები: **ქეთი ებანოიძე** და **მაია გაბუნია**
ან
გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: **naec@naec.ge**

წარმოსადგენი განაცხადის ფორმა განთავსებულია პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ინტერნეტ გვერდზე:
**www.reform.edu.ge**
ვაკანსიები და განცხადებები
განაცხადის ფორმა
ან
**www.naec.ge**
ცენტრის შესახებ
ვაკანსიები
**განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2005 წლის 13 ოქტომბერი.**

# ორშაბათი 3.10

## რუსთავი - 2

07.30 დილა 08.00 მულტფილმი "ლუი" 10.00 სერიალი "ოცნების კოშკები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" (გ) 13.30 მხ. ფილმი "სერიული მკვლელობები" (გ) 15.25 მულტფილმი "ლუი" 16.00 სერიალი "შემამბოხე სულები" 16.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 18.30 პატრული 19.00 სერიალი "შემამბოხე სულები" 19.50 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 სერიალი "სამშობლო გველოდება" 23.00 მხ. ფილმი "უსიტყვო ჭიდილი" (18) (რიჩარდ დრეიფუსი) 02.10 პატრული

07.30 "ადრე" 10.00 დოკ. ფილმი "დიდი გამყინვარება" 11.00 სერიალი "ანასტასია" 12.00 "მთავარი" 12.20 ანიმ. ფილმი "მონსტრების პლანეტა" 12.45 ანიმ. სერიალი "ჯოვანას სიზმრები" 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "ქალი მეგობარი" 15.00 "მთავარი" აფხაზურ ენაზე 15.20 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.30 სერიალი "თემპთეიშენსი" 16.30 დოკ. ფილმი "იბერა- მოკაშკაშე წყლის სამყარო" 17.30 მულტსერიალი "ინსპექტორ გაჯეტის მოგზაურობა" 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 დოკ. სერიალი "ჰოლივუდი და დანაშაული" 19.00 სერიალი "ქალი მეგობარი" 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერიალი "ანასტასია" 22.00 დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" 23.00 "ქაირო-2005" - მოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში (მიმოხილვა) 23.10 სერიალი "ეჭვი" 00.00 მხ. ფილმი "როცა ჩვიდმეტი წლის ხარ" (გ) 01.45 საინფ. გამოშვება

## მზე

08.30 საინფორმაციო კოლაჟი 08.35 მუსიკა მზეზე 09.15 "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" 09.45 სერიალი "პატარა დიდი ბობი" 10.30 მხ. ფილმი "სასიკვდილო თამაში" 12.15 "სამყაროს უთვალავი ფერები" 12.45 ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" 13.00 ფეხბურთი. რეალი-მალიორკა. 14.50 სერიალი "ტაქსის მძღოლი" 15.40 სერიალი "კარაბინერები" 16.40 ფეხბურთი. ლივერპული-ჩელსი. 18.30 "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" 19.00 "მზერა-ჰედლაინი" 19.15 სერიალი "პატარა დიდი ბობი" 20.00 "მზერა" 20.45 სერიალი "კარაბინერები" 21.45 კრიმ. სერიალი "სოშ" 22.30 საინფორმაციო კოლაჟი 22.35 მხ. ფილმი "გი:ი თავისუფალია" (გ) 00.00 მხ. ფილმი "მე ანა მქვია" (15)

## მეორე არხი

19.00 "ბაბილინა" 19.15 სერიალი "წეროლვარსკვლავთა ღამე" 19.40 ახალი პროექტი - მხატვარი ე. კალანდაძე 20.05 სპექტაკლი "ვაზის ყვავილობა"

## იმედი

07.00 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 13.00 ქრონიკა 10.00 სერიალი "ჩემი შეყვარებული" 11.00 დროება 12.40, 16.25, 01.30 ტვ-მარკეტი 13.15 ქართ. ფილმი "სამანიშვილის დედინაცვალი" 15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 02.05 ქრონიკა 15.20 სერიალი "მოჯადოება" 16.15, 17.10, 02.15 იმედის მელოდიები 16.40 დოკ. სერიალი "გორდონის ზვიგენები" 17.30 სპ. პროგრამა "ოლიმპიური ინტერიერი" 18.05 სერიალი "ჩემი შეყვარებული" 19.05 სერიალი "მოჯადოება" 20.55 სერიალი "საბრალო ნასტია" 21.55 "ნიკა ქავთარაძის შოუ" 23.45 მხ. ფილმი "ბოროტება" (15) (ა. ბოლდუინი)

## აჭარა

08.00 მუსიკა 08.30 "ახალი ამბები" 09.00 სერიალი "ჩემი სამი და" 10.00 "წაიპურტები" 10.15 კომედია "როგორ მოვიცილოთ თავიდან მამაკაცი 10 დღეში" 12.15 მხ. ფილმი "დაუნდობელი დიუკი" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "ახალი ამბები" 14.45 მხ. ფილმი "პირდაპირი ეთერი ბაღდადიდან" 16.45 მულტსერიალი 17.30 "ახალი ამბები" 18.00 "პროექტი მომავალი" 18.30 "ნოვოსტი" 19.30 სერიალი "ჩემი სამი და" 20.30 "ახალი ამბები" 21.00 მუსიკა 21.30 "პროექცია" 22.00 დოკ. ფილმი "კოდები" 23.00 კომედია "ექსტრემალური შეხვედრა" 00.50 მხ. ფილმი "28 დღის შემდეგ"

## ОРТ

05.05 "Первая программа". 06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20 Приключенческий фильм **"ОСТАТЬСЯ В ЖИВЫХ"**. Фильм 13-й. 10.50 М. Пореченков в сериале **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ"**. 12.20 Том Круз в фильме **"МИССИЯ НЕВЫПОЛНИМА - 2"**. 14.30 Док. фильм "Русское счастье". 15.10 "Лолита. Без комплексов". 16.00 Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ"**. 17.00 "Федеральный судья". 18.10 "Кривое зеркало". 18.40 Александр Домогаров в фильме **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ"**. 19.50 Жди меня. 21.00 Время. 21.30 Сериал **"УБОЙНАЯ СИЛА"**. 22.30 Спецрасследование. "Дачный бунт". 23.40 Ночные новости. 00.00 Многосерийный фильм **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ"**. 01.10 Кристофер Рив в триллере **"ДЕРЕВНЯ ПРОКЛЯТЫХ"**. В канун праздника в маленькой деревеньке Мидвич происходит невероятное событие: все живое неожиданно замирает на несколько часов. После этого жизнь возвращается на круги своя, как будто ничего не случилось. Через некоторое время становится ясно, что все женщины деревни беременны. Спустя девять месяцев на свет одновременно появляются малыши. На вид они вполне нормальные. Но на самом деле они - порождение злобных пришельцев, вознамерившихся уничтожить всех землян... 02.40 Крис Эллиотт в комедии **"ЮНГА"**. Выпускник колледжа Стивенвуд, богатый наследник Натаниель вступает во взрослую жизнь и отправляется на Гаваи, чтобы приступить к управлению отелем отца. Но по дороге юноша ошибается кораблем, и вместо роскошной яхты попадает на старую рыбацкую шхуну. Члены команды этого суденышка - люди простые. Они наотрез отказываются доставлять папиного сыночка по назначению. Ситуация безвыходная, и парень отправляется в незапланированное путешествие вместе с настоящими "морскими волками"... 03.40 Док. фильм "Нью-Йорк. Потерянные души".

## НТВ

06.00 "Сегодня утром". 09.15 "Вопрос... еще вопрос". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00 Сегодня. 10.20 Чистосердечное признание. 10.55 Кулинарный поединок. 11.55 Квартирный вопрос. 13.30 Детективный сериал **"МАРШ ТУРЕЦКОГО"**. 15.35 Чрезвычайное происшествие. 16.20 Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6"**. 18.35 Чрезвычайное происшествие. 19.40 Людмила Гурченко в сериале **"ВЫСШАЯ МЕРА"**. 1-я с. 20.50 Детективный сериал **"ЗОЛОТЫЕ ПАРНИ"**. 22.40 Сериал **"ВОСКРЕСЕНЬЕ В ЖЕНСКОЙ БАНЕ: ОБЫКНОВЕННАЯ ИСТОРИЯ"**. 23.50 Чрезвычайное происшествие. 00.20 "Школа злословия". Ток-шоу 01.15 Журнал Лиги чемпионов. 01.45 Дэрил Ханна в фильме **"ТАНЦЫ В "ГОЛУБОЙ ИГУАНЕ"**. "Голубая игуана" - это бар со стриптизершами. В фильме много героев - девушки из бара: Джесси, Эйнджел, Джасмин, Джо - это одна линия и Саша, наемный убийца из русских в Америке, приехавший выполнить свое задание, со стороны наблюдает жизнь ночного бара - это вторая линия. У всех девушек, без исключения, есть своя мечта. Эйнджел безумно хочет усыновить ребенка, Джасмин, пикантная китаянка, поэтесса, мечтает уехать в Сан-Франциско на поэтический конкурс, но ее не отпускает хозяин бара, энергичная Джо, как иЭйнджел, мечтает о ребенке, но хочет его родить сама, а хозяин ее выгоняет вон... Вообще, без прикрас показана жизнь "ночных фей", мечты которых разбиваются. Саша влюбился в Эйнджел, он посылает ей корзину цветов, а потом и роскошный наряд, но и его мечтам не суждено сбыться. 04.05 Детективный сериал **"БЕЗ СЛЕДА-II: РАЗОБЛАЧЕНИЕ"**. 05.00 Джо Пантолиано в сериале **"ОПЕРАТИВНИК"**. **REN TV 03** 06.00 Музыкальный канал. 06.30 Мультсериал "Дуг". 06.55 Мультсериал "Гаргульи". 07.40 Очевидец 08.30 Сериал **"МЭШ"**. 09.30, 12.30, 19.30, 23.30 "24" 09.50 Час суда. Дела семейные. 10.50 "Час суда" с Павлом Астаховым. 12.00 Док. фильм "Исчезновения: Агата Кристи". 13.00 "Невероятные истории" с Иваном Дыховичным. 14.00 Мультфильмы 14.15 Сериал **"СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ"**. 15.15 Комедийный сериал **"АФРОМОСКВИЧ"**. 16.30 Сериал **"МЯТЕЖНЫЙ ДУХ"**. 17.30 Сериал **"ХОЛОСТЯКИ"**. 18.45 "Мистер Бин". Комедийное шоу 19.00 Мультсериал "Симпсоны". 20.00 Сериал **"ТУРИСТЫ"**. 21.10 Сериал **"СОЛДАТЫ-3"**. 22.20 Сериал **"СТУДЕНТЫ-2"**. 00.00 "Мистер Бин". Комедийное шоу 00.15 "Шестое чувство". Телеигра 01.05 Лучшие клипы мира.

# სამშაბათი 4.10

## რუსთავი - 2

07.30 დილა 08.00 მულტფილმი "ლუი" 10.00 სერიალი "ოცნების კოშკები" 11.00 სერიალი "სამშობლო გველოდება" 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 00.40 კურიერი 12.20 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 13.30 მხ. ფილმი "დედა" (გ) 15.25 მულტფილმი "ლუი" 16.00 სერიალი "შემამბოხე სულები" 16.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 18.30 პატრული 19.00 სერიალი "შემამბოხე სულები" 19.50 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 ღამის შოუ 23.00 მხ. ფილმი "დედის ისტორია" (18) (ენ რეიდი) 01.00 პატრული

07.30 "ადრე" 10.00 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი ბორჯომის თასზე. 11.00 სერიალი "ანასტასია" 12.00 "მთავარი" 12.20 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი ბორჯომის თასზე 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "ქალი მეგობარი" 15.00 "მთავარი" ოსურ ენაზე 15.20 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.30 სერიალი "თემპთეიშენსი" 16.30 სერიალი "ეჭვი" 17.30 მულტსერიალი "ინსპექტორ გაჯეტის მოგზაურობა" 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" 19.00 სერიალი "ქალი მეგობარი" 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერიალი "ანასტასია" 22.00 დოკ. ფილმი "როგორ გადაშენდნენ დინოზავრები" 23.00 სერიალი "ეჭვი" 00.00 ქართ. მხ. ფილმი "გაზაფხული გადის" (გ) 01.10 საინფ. გამოშვება

## მზე

08.30 საინფორმაციო კოლაჟი 08.35 მუსიკა მზეზე 09.00 "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" 09.30 სერიალი "პატარა დიდი ბობი" 10.30 მხ. ფილმი "გი:ი თავისუფალია" (გ) 12.15 "სამყაროს უთვალავი ფერები" 12.45 ტელეჟურნალი "სცენა" 13.00 ფეხბურთი. სანდერლენდი-ვესტჰემი. 14.50 სერიალი "ტაქსის მძღოლი" 15.40 სერიალი "კარაბინერები" 16.40 ფეხბურთი. ჩარლტონი- ტოტენჰემი. 18.30 "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" 19.00 "მზერა-ჰედლაინი" 19.10 სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 20.00 "მზერა" 20.45 სერიალი "კარაბინერები" 21.45 კრიმ. სერიალი "სოშ" 22.30 საინფორმაციო კოლაჟი 22.35 მხ. ფილმი "მანიტუს მოკასინები" (გ) 00.00 მხ. ფილმი "წინააღმდეგობა" (18)

## მეორე არხი

19.00 "ბაბილინა" 19.15 სერიალი "წეროლვარსკვლავთა ღამე" 19.40 პროფესიონალი- მეხანძრეები 20.05 კინოსეანსი "ლაზარე"

## იმედი

07.00 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 13.00 ქრონიკა 10.00 სერიალი "ჩემი შეყვარებული" 11.15 სერიალი "საბრალო ნასტია" 12.25, 13.15, 16.15, 17.10, 02.20 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 01.35 ტვ-მარკეტი 13.40 ნ. ქავთარაძის შოუ 15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 02.10 ქრონიკა 15.20 სერიალი "მოჯადოება" 16.40 დოკ. სერიალი "გორდონის ზვიგენები" 17.30 "ნაცნობი საქართველო" 18.05 სერიალი "ჩემი შეყვარებული" 19.05 სერიალი "მოჯადოება" 20.55 სერიალი "საბრალო ნასტია" 21.55 "პირველები" 23.30 მხ. ფილმი "მეექვსე დღე" (15) (ა. შვარცენეგერი)

## აჭარა

08.00 მუსიკა 08.30 "ახალი ამბები" 09.00 სერიალი "ჩემი სამი და" 10.00 "პროექტი მომავალი" 10.30 დოკ. ფილმი "კოდები" 11.30 კომედია "გულების დამპყრობელი" 13.30 "დებატები" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "ახალი ამბები" 14.45 მხ. ფილმი "ველური ეშმაკები" 16.45 მულტსერიალი 17.50 "პროექცია" 18.30 "ნოვოსტი" 19.00 "სპორტი" 19.30 სერიალი "ჩემი სამი და" 21.00 მუსიკა 21.30 "გადარჩენილი სიტყვა" 22.10 კრიმინალური დრამა "სახელმწიფოს საკუთრება" 00.15 მხ. ფილმი "პარიზი"

## ОРТ

05.05 "Первая программа". 06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20 Сериал **"УБОЙНАЯ СИЛА"**. 10.20 М. Пореченков в сериале **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ"**. 11.30 "Встань и иди". "Под знаком радуги". 12.20 Многосерийный фильм **"РУССКОЕ ЛЕКАРСТВО"**. 13.30 Дисней-клуб: "Кряк-бряк". 13.50 Спецрасследование. "Дачный бунт". 15.10 "Лолита. Без комплексов". 16.00 Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ"**. 17.00 "Федеральный судья". 18.10 "Кривое зеркало". 18.40 Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ"**. 19.50 "Пусть говорят" 21.00 Время. 21.30 Сериал **"УБОЙНАЯ СИЛА"**. 22.30 Док. фильм "Тело государственной важности". 23.40 Ночные новости. 00.00 Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ"**. 01.10 Фанни Ардан в фильме **"КАЛЛАС НАВСЕГДА"**. Самая яркая звезда мировой оперной сцены Мария Каллас уединенно живет в своей парижской квартире. Лучшие дни и громкая слава остались позади, да и голос уже давно не тот. Но верный друг и продюсер Ларри Келли не дает ей пребывать в депрессии. У него грандиозная идея: экранизировать "Кармен". Ведь современная техника способна творить чудеса и голос великой певицы сможет зазвучать как прежде. Расчет оказался верным. Воодушевленная триумфом, Мария готова к новым работам. Но теперь она хочет петь своим нынешним голосом. И Ларри решает рискнуть... 03.20 Дэйв Шеридан в комедии **"ФРЭНК МАКЛАСКИ - СТРАХОВОЙ АГЕНТ"**. Страховой агент Фрэнк Маккласки просчитывает каждый шаг, пытаясь оградить себя от жизненных неприятностей. Ему не страшен даже кирпич, который может упасть с крыши, ибо Фрэнк не выходит из дома без защитного шлема. Он предпочитает жить с родителями и никогда не рискует в отношениях с девушками. Словом Фрэнк - неисправимый зануда. Но совершенно неожиданные обстоятельства вынуждают его заняться опаснейшим расследованием вместе с очень симпатичной коллегой по работе Шэрон...

## НТВ

06.00 "Сегодня утром". 09.15 "Вопрос... еще вопрос". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 Сегодня. 10.20 Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. 10.50 Ток-шоу "Принцип домино". 11.50 Остросюжетный сериал **"ВЫСШАЯ МЕРА"**. 13.30 Для тебя. 14.30 Детективный сериал **"ЗОЛОТЫЕ ПАРНИ"**. 15.35 Чрезвычайное происшествие. 16.20 Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА"**. 17.25 Сериал **"БАЯЗЕТ"**. 18.35 Чрезвычайное происшествие. 19.40 Остросюжетный сериал **"ВЫСШАЯ МЕРА"**. 20.50 Детективный сериал **"ЗОЛОТЫЕ ПАРНИ"**. 22.40 Сериал **"ВОСКРЕСЕНЬЕ В ЖЕНСКОЙ БАНЕ: ГОРЕ ОТ УМА"**. 23.50 Чрезвычайное происшествие. 00.20 Майкл Паре в боевике **"СКОРЫЙ СУД"**. Капрал Скотт Янгблад в составе морских пехотинцев США нес службу в Париже в охране посла, которому спас жизнь, нейтрализовав киллера.За этот подвиг капрал был произведђн в сержанты и получил в подарок именной пистолет. В этот момент Скотту позвонила из Испании сестра Ким, и по тому, как она говорила, Скотт понял, что женщина в опасности. Она успела назвать одно имя: Датч. Скотту дали три дня увольнения, и он вылетел в Мадрид.Один из его друзей незаметно бросил в его сумку тот самый именной пистолет. Таможня в Испании обнаружила оружие, и Скотт был задержан. Спас положение офицер американских войск при посольстве США в Испании. Он конфисковал пистолет и выпустил сержанта из заключения. В квартире сестры Скотт обнаружил фотографа Джейка - друга Ким. От него Скотт узнал, что Ким убита наркоторговцами бандитами Датчем и Силком. Джейк показал Скотту морг, где находилось тело Ким. Придя в испанскую полицию, Скотт выяснил, что дело закрыто, а гибель Ким объяснена, как смерть в результате автомобильной аварии. И тогда Скотт решает сам найти убийц и отомстить за смерть сестры... 02.30 Бильярд. 03.15 Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО-VI"**. 04.10 Детективный сериал **"БЕЗ СЛЕДА-II: ОТЛИЧАТЬ СОКОЛА ОТ ЦАПЛИ"**. 05.05 Сериал **"ОПЕРАТИВНИК"**.

# ოთხშაბათი 5.10

## რუსთავი - 2

07.30 დილა 08.00 მულტფილმი "რეინჯერები" 10.00 სერიალი "ოცნების კოშკები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.00 კურიერი 12.20 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 13.30 მხ. ფილმი "სათამაშო" (გ) 15.25 მულტფილმი "რეინჯერები" 16.00 სერიალი "შემამბოხე სულები" 16.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 18.30 პატრული 19.00 სერიალი "შემამბოხე სულები" 19.50 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 სერიალი "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 23.00 მხ. ფილმი "პეპლის ეფექტი" (18) (ეშტონ კატჩერი) 01.20 პატრული

07.30 "ადრე" 10.00 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი ბორჯომის თასზე. 11.00 სერიალი "ანასტასია" 12.00 "მთავარი" 12.20 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი ბორჯომის თასზე 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "ქალი მეგობარი" 15.00 "მთავარი" სომხურ ენაზე 15.20 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.30 მულტსერიალი "ინსპექტორ გაჯეტის მოგზაურობა" 15.55 ფეხბურთი. "დინამო" (თბილისი)- "ლოკომოტივი" (თბილისი) 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 დოკ. ფილმი "სიჩქარე" 19.00 სერიალი "ქალი მეგობარი" 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერიალი "ანასტასია" 22.00 დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის ცენტრიდან" 23.00 "ახალი პროექტი" - იდუმალი ხევსურეთი 23.30 სერიალი "ეჭვი" 00.30 მხ. ფილმი "ინტოქსიკაცია" (15) 02.00 საინფ. გამოშვება

## მზე

08.30 საინფორმაციო კოლაჟი 08.35 მუსიკა მზეზე 09.00 "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" 09.30 სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 10.30 მხ. ფილმი "მანიტუს მოკასინები" (გ) 12.05 "სამყაროს უთვალავი ფერები" 12.35 ტელეჟურნალი "მოდა" 13.00 საფეხბურთო მიმოხილვა. ინგლისი. 14.05 კრიმ. სერიალი "სოშ" 14.50 სერიალი "ტაქსის მძღოლი" 15.40 სერიალი "კარაბინერები" 16.40 სერიალი "დაკარგული ქვეყანა" 17.30 "სამყაროს უთვალავი ფერები" 18.30 გეპატიჟებათ ბ. ვულფი" 19.00 "მზერა-ჰედლაინი" 19.15 სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 20.00 "მზერა" 20.45 სერიალი "კარაბინერები" 21.45 კრიმ. სერიალი "სოშ" 22.30 საინფორმაციო კოლაჟი 22.35 მხ. ფილმი "თანამგზავრი ქალი" (გ) 00.00 მხ. ფილმი "მსახური ქალი ტიტანიკიდან" (18)

## მეორე არხი

19.00 "ბაბილინა" 19.15 სერიალი "წეროლვარსკვლავთა ღამე" 19.40 ისტორიანი - გიორგი ბრწყინვალე 20.05 სპექტაკლი "ოდელია დელა"

## იმედი

07.00 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 13.00 ქრონიკა 10.00 სერიალი "ჩემი შეყვარებული" 11.15 სერიალი "საბრალო ნასტია" 12.25, 16.15, 17.10, 02.10 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 01.25 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი "18 წლის შემდეგ" 15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 02.00 ქრონიკა 15.20 სერიალი "მოჯადოება" 16.40 დოკ. სერიალი "გორდონის ზვიგენები" 17.30 "ათასიდან ერთი შანსი" 18.05 სერიალი "ჩემი შეყვარებული" 19.05 სერიალი "მოჯადოება" 20.55 სერიალი "საბრალო ნასტია" 21.55 "გვარონვნული წყობილება" 23.45 მხ. ფილმი "მეფე ჯო" (გ) (ველ კილმერი)

## აჭარა

08.00 მუსიკა 08.30 "ახალი ამბები" 09.00 სერიალი "ჩემი სამი და" 10.00 "სპორტი" 10.25 კომედია "დაკარგულის ძებნაში" 12.15 მხ. ფილმი "მედიდე" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "ახალი ამბები" 14.45 მხ. ფილმი "ზეგ" 16.50 მულტსერიალი 18.30 "ნოვოსტი" 19.00 "პრევენცია" 19.30 სერიალი "ჩემი სამი და" 21.00 მუსიკა 21.30 "მოგზაური" 22.00 დოკ. ფილმი "კოლუმბია" 23.00 მხ. ფილმი "ლოს-ანჯელესის საიდუმლოება"

## ОРТ

